

ბუღალტრული უღრიცხვა



ISSN 1512-0805

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№ 8 (295)
აგვისტო
2021



საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია
ღრმა მწუხარებას გამოხატავს
ბაფის გამოცემების და
ჟურნალის დაარსების დღიდან
მისი რედაქტორის, ქალბატონი

**მანანა
გველესიანის**

გარდაცვალების გამო და
თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახსა
და ახლობლებს.

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია

ბუღალტრული აღრიცხვა

ყოველთვიური სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი
რეფერირდება „ქართულ რეფერირებულ ჟურნალში“

სტუ, ტექნიფორმი ISSN 1512-0775

№8(295)

აგვისტო

2021

მთავარი რედაქტორი ლავრენტი ჭუმბურიძე

გამოცემის რედაქტორი მანანა გველესიანი

სარედაქციო კოლეგია: ბაბი ალავერდაშვილი; კონსტანტინე დათიაშვილი;
ცისკარა ზარანდია; ნადეჟდა კვატაშიძე; ზურაბ ლიპარტია; გიორგი ნანუაშვილი;
დალი სოლოლაშვილი; რუსუდან ქუთათელაძე; რევაზ ძაძამია; იზოლდა ჭილაძე;
დავით ჯალალონია; ელენე ხარაბაძე.

რედაქცია შეიძლება არ იზიარებდეს ავტორის აზრს. შემოსული მასალები ავტორებს არ
უბრუნდებათ. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა და ციტატების სიზუსტეზე.

შინაარსი

ინფორმაცია ფედერაციიდან

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 3

პროფესიული სერტიფიცირების პრეტენდენტთა დასახმარებლად

რუბრიკას უძღვება **გაბი ალავერდაშვილი**

შიდა აუდიტორების გამოყენება ფინანსური ანგარიშგების აუდიტში
მოდულები: აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება და უმაღლესი
დონის აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება 23

ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო-დოკუმენტი
მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“ 31

ინვესტიციის შეფასება
მოდული „ფინანსური მართვა“ 36

ბუღალტრების ეთიკა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში
მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“ 44

საბა ქაქამია

სააღრიცხვო პრინციპი, რომელიც ხელს უშლის Bitcoin-ის
ფართო აღიარებას 49

პანდემია ყოველ მეთე ახალგაზრდას კარიერული არჩევანის
შეცვლისკენ უბიძგებს 50

ოფიციალური მასალები 52

კითხვა-პასუხი 61

ინფორმაცია ფედერაციიდან 64

რედაქციის მისამართი: 380054, ქ. თბილისი
წერეთლის გამზირი №61. ტელ./ფაქსი: 235-01-57; 235-67-56; 235-43-97
რეკვიზიტები: „თი-ბი-სი ბანკი“. კოდი 220101830 ა/ა 7 467 286

ჟურნალი ააწყო და დააკაბადონა ნ. ყაველაშვილმა
გადაეცა წარმოებას 9.09.2021. ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.09.2021.
ფორმატი 70x108 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 4,25. ტირაჟი 1500

ფასი 6 ლარი

© ბაფი 2021 წელი ჟურნალი რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში
18.09.1997 წ. რეგისტრაციის № 4/4-1236

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი)

**კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა**

**2020 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისათვის**

ქ.თბილისი
2021

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) გამგეობას

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს - ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციისგან“ („ბაფი“) ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მცირე და საშუალო სანარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს - ფასს), ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სანარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად სანარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ **ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“)** შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა **ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“)** ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება **ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“)** უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის“ („ბაფი“) ხელმძღვანელობას ინფორმაციას ვანვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და ხელმძღვანელობას ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან. ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ აუცილებლობის შემთხვევაში.



**ა(ა)იპ „საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაცია“ („ბაფი“) კონსოლიდირებული
სრული შემოსავლის ანგარიშგება**

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ამონაგები	5	1,134,908	1,275,749
სხვა შემოსავლები	6	348,395	329,397
ცვლილებები მარაგის ნაშთში		(57,307)	11,713
შეძენილი ნედლეული და მასალები		(137,901)	(95,764)
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(869,322)	(903,567)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(40,179)	(45,648)
სხვა ხარჯები	7	(425,301)	(595,395)
მოგება დაბეგვრამდე		(46,707)	(23,515)
საგადასახადო ხარჯი		(12,353)	(32,647)
წლიური მოგება		(59,060)	(56,162)
სრული შემოსავლის მთლიანი თანხა		(59,060)	(56,162)
სათავო საწარმოს წილი		(63,421)	(80,777)
არამაკონტროლებელი წილი		4361	24,615
	შენიშვნები	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	720,116	753,711
არამატერიალური აქტივები	9	5,538	11,910
გუდვილი	16	5,679	–
ინვესტიციები სხვა საწარმოში		–	400
სულ გრძელვადიანი აქტივები		731,333	766,021
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	159,315	201,348

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	286,398	218,132
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	12	757,376	854,424
სულ მიმდინარე აქტივები		1,203,089	1,273,904
სულ აქტივები		1,934,422	2,039,925
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
ბაზის განვითარების ფონდი		1,459,682	1,520,205
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(59,060)	(56,162)
არამაკონტროლებელი წილი		306,557	336,496
სულ საკუთარი კაპიტალი		1,707,179	1,800,539
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გადავადებული შემოსავალი	13	–	28,313
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		–	28,313
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	210,593	205,967
საგადასახადო ვალდებულებები	15	16,650	5,106
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		227,243	211,073
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,934,422	2,039,925

	ბაზის განვითარების ფონდი	არამაკონ- ტროლებელი წილი	სულ
31.12.2018 წაშთი	1,544,820	402,531	1,947,351
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(80,777)	24,615	(56,162)
გაცემული დივიდენდი	-	(90,650)	(90,650)
31.12.2019 წაშთი	1,464,043	336,496	1,800,539
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	(63,421)	4,361	(59,060)
გაცემული დივიდენდი	-	(34,300)	(34,300)
31.12.2020 წაშთი	1,400,622	306,557	1,707,179

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	1,253,065	1,453,133
საწევრო შენატანები	144,609	154,300
სხვა საოპერაციო შემოსავლები	40,376	111,586
გადახდილი ხელფასები	(601,880)	(738,796)
გადახდილი გადასახადები	(320,135)	(452,641)
ადმინისტრაციულ და სხვა არასაოპერაციო ხარჯებზე გადახდები	(312,174)	(382,043)
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(139,233)	(127,821)
გაცემული დივიდენდი	(31,219)	(86,118)
გადახდილი იჯარა	(103,370)	(18,000)
გადახდილი საწევრო	(15,278)	(13,373)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(85,238)	(99,773)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
გაცემული სესხის დაფარვა	-	12,836
გრელვადიანი აქტივის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი	(6,000)	-
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,810)	(45,338)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(11,810)	(32,503)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა	(97,048)	(132,275)
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	854,424	986,699
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	757,376	854,424

1.ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია (ბაფი) საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, წარმოადგენს წევრობაზე დაფუძნებულ პროფესიულ ორგანიზაციას (რეგისტრირებული კავშირი). ბაფის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61. ბაფის საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ და შპს ჟურნალ „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშებას“ წლიურ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ ძირითადი საქმიანობის საგანია საგანმანათლებლო საქმიანობა, ბუღალტერთა მომზადება, გადამზადება.

შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშება“ გამოსცემს ყოველთვიურ სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალს „ბუღალტრული აღრიცხვა“.

ბაფის ეკონომიკური საქმიანობა, ძირითადად, უკავშირდება ბუღალტერთა და აუდიტორთა მომზადებას, გადამზადებას, პროფესიულ სერტიფიცირებასა და განგრძობით განათლებას.

ბაფი საქმიანობას ახორციელებს სათავო ოფისისა (ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი 61) და შემდეგი რეგიონალური და რაიონული ფილიალების მეშვეობით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალი;
- იმერეთის რეგიონალური ფილიალი;
- სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონალური ფილიალი;
- კახეთის რეგიონალური ფილიალი;
- რუსთავის რაიონული ფილიალი;
- ფოთის რაიონული ფილიალი
- გორის რაიონული ფილიალი

2.კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადანაცვებების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მოგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID-19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო შესაბამისი ზომები და დააწესა ისეთი შეზღუდვები, როგორიცაა კარანტინი, კომენდანტის საათი, საერთაშორისო ფრენების შეზღუდვები და სხვა ბიზნესშეზღუდვები. კომპანიის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აღნიშნულმა ზომებმა ნაწილობრივ შეზღუდა კომპანიის საქმიანობა, თუმცა ამ ღონისძიებებმა უარყოფითი გავლენა იქონია ქვეყნის ეკონომიკასა და ადგილობრივ ბიზნესზე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ მიიღო შესაბამისი ზომები კომპანიის საქმიანობაზე პანდემიის გავლენის შესამცირებლად. საოპერაციო პროცესები მიმდინარეობდა კომპანიაში ყველა წესებისა და რეგულაციების დაცვით. არსებული ეკონომიკური მდგომარეობისა და ზემოაღნიშნული ღონისძიებების სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შესაბამისი ფინანსური რეზერვი აგრეთვე, ბაფის ფინანსური მდგრადობის გარანტია წმინდა აქტივების ღირებულება და ლიკვიდობის მაღალი დონე, რაც საფრთხეს არ უქმნის კომპანიას ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

2.1. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგება შედგება ბაფისა და მისი შვილობილი კომპანიების შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის“ და შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების“ ფინანსური ანგარიშგებისაგან. იგი ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია ყველაწარმოადგენი შიდაჯგუფური ოპერაცია, ნაშთი, შემოსავალი და ხარჯი.

ინფორმაცია ბაფის შვილობილი კომპანიის შესახებ:

სახელწოდება	ძირითადი საქმიანობა	რეგისტრაციის და საქმიანობის ადგილი	ფლობილი წილი/ხმის უფლების მქონე წილი (%)	
			31/12/2020	31/12/2019
1 შპს „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“	ბუღალტერთა მომზადება, გადამზადება	საქართველო	51	51
2 შპს „ჟურნალი ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“	პერიოდული სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალის გამოცემა	საქართველო	100	20

2.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენისა და შეფასებისას გამოყენებული მეთოდები

კონსოლიდაციის პრინციპები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ფინანსურ ინფორმაციას ჯგუფის, როგორც ერთი მთლიანი ეკონომიკური ერთეულის შესახებ. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად:

- ა) გაერთიანებულია ბაფის და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მუხლობრივად, აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ანალოგიური მუხლების დაჯამებით;
- ბ) გამოირიცხულია შვილობილ საწარმოში ბაფის მიერ განხორციელებული ინვესტიციის საბალანსო ღირებულება და ბაფის წილი შვილობილი საწარმოების საკუთარ კაპიტალში;
- გ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი, კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში, ბაფის წილისგან განცალკევებით;
- დ) შეფასებული და ასახულია არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებული შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებში, ბაფის წილისაგან განცალკევებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული, ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

მომსახურების განწვევის ამონაგები აღიარდება, მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების განწვევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში, ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- ა) საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;
- ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;
- დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და
- ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასანევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

3.2 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

საკუთარ ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში, აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 2-დან 10 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

ოფისის აღჭურვილობა	20-30 %
ავტო და სხვა ინვენტარი	25-50 %
სარტანსპორტო საშუალებები	10-15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის, ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს, თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება Fifo ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. შეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი, ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ თანხის საუკეთესო შეფასებით, რომელიც აუცილებელი იქნებოდა (თანხა, რასაც საწარმო, გონივრულ ფარგლებში, დახარჯავდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს) ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო

ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ბარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ბარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ბარალის აღიარება. გაუფასურების ბარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს, საანგარიშგებო პერიოდში განეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია, დაქირავებულის მიერ განეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია, საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; განეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

საწარმო აკვირდება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ცვლილება აქტივის გამოყენების წესში, მნიშვნელოვანი გაუთვალისწინებელი ფიზიკური ცვლელის, ტექნოლოგიური მიღწევები და საბაზრო ფასების ცვლილებები, რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულება ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადა შეიცვალა უკანასკნელი საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. თუ არსებობს რაიმე მსგავსი ნიშნები, საწარმო გადახედავს წინა შეფასებებს და თუ ახლანდელი შეფასებები მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისგან, შეცვლის აქტივის ნარჩენ ღირებულებას, ცვლის მეთოდს ან სასარგებლო მომსახურების ვადას. საწარმო აქტივის ნარჩენი ღირებულების, ცვლის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილებას ასახავს, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილებას.

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის (შენიშვნა 4) გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება მსჯელობის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა შესაფერის ფაქტორებს.

ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროებია -

სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მსჯელობის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მათ გამოცდილებაზე დაყრდნობით. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვლელსა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვლის განაკვეთების შესწორება.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია ქმნის საეჭვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვს, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საეჭვო ვალდებულების რეზერვების ადეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძვლად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს.

5. ამონაგები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მომსახურების გაწევა	847303	1033578
საქონლის გაყიდვა	182237	116571
სხვა საოპერაციო შემოსავალი	105,368	125,600
სულ შემოსავალი	1,134,908	1,275,749

რეალიზაცია მოიცავს, როგორც საქონლის, ისე საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგებს. სასწავლო პროცესის შემოსავლებში გაერთიანებულია ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული ყველა ტიპის ტრენინგებიდან და გამოცდებიდან მიღებული ამონაგები.

6. სხვა შემოსავლები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფიზიკური პირების სანევრო	141188	139166
კორპორაციული წევრების სანევრო	89000	92082
საპროცენტო შემოსავალი	60356	68,242
განვერდიანების საფასური	2440	3,640
შემოწირულობა	-	14,300
უსასყიდლოდ შეძენილი წიგნები	23804	7,200
არასასარჩელო შემოსავალი	-	4,267
სხვა შემოსავალი	31607	500
სულ სხვა შემოსავალი	348,395	329,397

7. სხვა ხარჯები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
შეძენილი მომსახურება	318,274	530,984
საგადასახადო ხარჯი	13,319	20,371
გადახდილი სანევროები	15,278	13,372
ჩამოწერილი სანევროები	65,664	10,000
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,736	7,827
წევრთა ყრილობის ხარჯი	665	5,941
უიმედო ვალი	2,350	3,379
ქველმოქმედება და დახმარება	2,498	2,313
არასაოპერაციო ხარჯი	14	746
ჩამოწერილი ძირ. საშუალებების საბალანსო ღირებულება	4,891	219
საკურსო სხვაობის ხარჯი	612	243
სულ სხვა ხარჯები	425,301	595,395

8. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.20	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.19
თვითღირებულება				
შენობა-ნაგებობები	662,887	-	-	662,887
ოფისის ალჭურვილობა	184826	2446	10239	192621
ავეჯი და ინვენტარი	140068	2658	7560	144970
სატრანსპორტო საშუალება	105,775	-	-	105,775
ბიბლიოთეკა	1,329	-	-	1,329
ჯამი	1094887	5105	17799	1107582
მეწმედის ღირებულება				
ცვეთა	ნაშთი 31.12.20	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწმვა	ნაშთი 31.12.19
შენობა-ნაგებობა	99117	8244	0	90873
ოფისის ალჭურვილობა	136008	13736	9875	132147
ავეჯი და სხვა ინვენტარი	110317	4409	6178	112086
სატრანსპორტო საშუალება	28875	10,500	-	18375
ბიბლიოთეკა	454	63	-	391
ჯამი	374771	36952	16053	353872
საბალანსო ღირებულება	720116			753710

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი):

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

9. არამატერიალური აქტივები

ობიექტის დასახელება	ნაშთი 31.12.20	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.19
თვითღირებულება				
ვიდეოლექციები	0	-	26076	26,076
ლიცენზია Strados Studio	5,467			5,467
საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	5,200	0	-	5200
ვიდეოლექციების ადმინისტრირების პროგრამა	0	-	5000	5,000
პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	4,450	-	-	4450
ლექციების ჩასაწერი პროგრამა	0	-	552	552
ჯამი	15117	0	31628	46745
ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.20	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამო- წერა	ნაშთი 31.12.19
ვიდეოლექციები	0	1803	24935	23132
პროგრამა ICS (მართვის სისტემა)	3686	203	0	3483
ლიცენზია Strados Studio	3075	479	-	2596
საბუღალტრო პროგრამა „ორისი“	2818	243	-	2575
ვიდეოლექციების ადმინისტრირების პროგრამა	0	499	2997	2498
ლექციების ჩასაწერი პროგრამა	0	0	551	551
ჯამი	9579	3227	28483	34835
საბალანსო ღირებულება	5538	-	-	11910

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

10. მარაგი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მზა პროდუქცია, წიგნები	149639	196,575
სხვა მარაგი	8513	4,578
საქონელი, აუდიტის სტანდარტები	863	195
ჯამი	159315	201,348

საქონლის ნაშთის შემადგენლობაში გაერთიანებულია ბაფში შემოწირულობის სახით მიღებული წიგნები და საბუღალტრო კომპიუტერული პროგრამა „ორისი“. მზა პროდუქციის ნაშთში - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, ხარისხის კონტროლისა და აუდიტის სტანდარტები და ACCA სახელმძღვანელოები. სხვა მარაგში - წიგნების თარგმნისა და გამოცემის უფლების, ბაფისა და შპს პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტის საკანცელარიო ნივთებისა და სანვავის ნაშთი.

11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები წევრებთან	233,319	239,634
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახ.	54,353	45,247
გაუფასურების ბარალის თანხა	(47,354)	(89,372)
სავაჭრო დებიტორების საბალანსო ღირებულება	240,318	195,509
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისაგან მისაღები	2000	-
სხვა მხარეებისაგან მისაღები	238,318	195,509
საგადასახადო მოთხოვნები	15,705	18,625
მოთხოვნები პერსონალთან	308	159
წინასწარი გადახდები	30,067	3,839
სულ	286,398	218,132

12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ფულადი სახსრები საღარაოში	3,097	810
ფულადი სახსრები ბანკის მიმდინარე ანგარიშებზე	33,516	25,909
მოკლევადიანი ვადიანი ანაბრები ბანკში	720,763	827,705
ოვერდრაფტები	-	-
სულ ფულადი სახსრები	757,376	854,424

13. გადავადებული შემოსავალი

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მომავალი წლის ფინანსური შემოსავალი	-	28,313
	-	-
ჯამი	-	28,313

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	20,764	73,217
მ.შ. დაკავშირებული მხარეებისთვის გადასახადელი	5900	-
სხვა მომწოდებლებისათვის გადასახდელი	14864	73,217
წინასწარმიღებული თანხები	121,883	122,600
სხვა	5,173	3,750
გადასახდელი ხელფასები	62,773	6,400
ჯამი	210,593	205,967

სავაჭრო ვალდებულებებში შეტანილი ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულება

საწარმოს ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართობი, დარჩენილი 5 წლის ვადით. საიჯარო გადასახდელების გადახდა ხდება ფიქსირებული თანხით. ხარჯად აღიარებული საიჯარო გადასახდელები შეადგენს:

	2020 წ.	2019 წ.
მოკლევადიანი ვალდებულება	89760	89760
წლის ბოლოს საწარმოს გააჩნია შეუქცევადი ჩვეულებრივი იჯარის მომავალი მინიმალური საიჯარო გადასახდელების შემდეგი ვალდებულებები:		
არა უგვიანეს ერთი წლისა	74755	74755
ერთი წლის შემდეგ და არა უგვიანეს ხუთი წლისა	373775	373775
ხუთი წლის შემდეგ		
ჯამი	488530	488530

15. საგადასახადო ვალდებულებები

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
გადასახდელი დღგ	613	3,301
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	14361	1,456
გადასახდელი სოციალური გადასახადი	1676	0
გადასახდელი ქონების გადასახადი	0	349
ჯამი	16650	5,106

16. საწარმოთა გაერთიანება გუდვილი

შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგებას“ შესყიდვა:

2020 წლის 29 იანვარს მაისს კომპანიამ შეისყიდა შპს ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგებას“ 100%-იანი წილი. ჟურნალი „ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება“ დაფუძნდა 1997 წლის 18 სექტემბერს, რომლის ძირითადი საქმიანობაა ყოველთვიური ჟურნალის „ბუღალტრული აღრიცხვას“ გამოშვება, ჟურნალში რეკლამის განთავსება. ჟურნალის აგრეგირებული ამოცნობადი აქტივებისა და ვალდებულებების პირობითი სამართლიანი ღირებულებები შესყიდვის თარიღისთვის იყო:

	შეძენისას აღიარებული სამართლიანი ღირებულება
მიმდინარე აქტივები	
მარაგები	15,605
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	763
ფულადი სახსრები და ეკვივალენტები	1,679
სხვა მიმდინარე აქტივები	-
სულ მიმდინარე აქტივები	18,046
სულ აქტივები:	18,046
მოკლევადიანი ვალდებულებები	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17,506
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	-

საგადასახადო ვალდებულებები	139
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	17,645
სულ ვალდებულებები	17,645
შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება	401
თარიღისათვის წმინდა აქტივების რეალური ღირებულებაში 100%	321
გადაცემული კომპენსაცია	6,000
გუდვილი	5,679

ამ შესყიდვით კომპანია თავის ბიზნესს აფართოებს, რადგან ხედავს ახალ შესაძლებლობებს და ღირებულების შექმნის პერსპექტივას საქართველოს ეკონომიკის ამ სექტორში. ჯგუფს მიაჩნია, რომ თავისი ამ სექტორს საოპერაციო ფულადი ნაკადების გაზრდის შესაძლებლობა აქვს. ხელმძღვანელობის აზრით, ეს შესყიდვა დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე.

ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულებაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული სინერგია.

საზღაური 6000 ლარს შეადგენდა უნაღდო ანგარიშსწორებით, რომელიც სრულად იყო გადახდილი საანგარიშგებო თარიღისთვის. შეძენის შემდეგ, მფლობელობის სტრუქტურაში ცვლილება არ მომხდარა.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ ნილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად, ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

საწარმო დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

შვილობილ საწარმოებს - შპს ჟურნალი

„ბუღალტრული აღრიცხვა- ანგარიშგება“ და „პროფესიონალ ბუღალტერთა ინსტიტუტი“, საბოლოო მაკონტროლებელი მხარე - ბაფი

საწარმოები, რომლებზეც პირები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ - შპს „კონსაუდი“ და შპს „ბუღალტერთა მომზადების ცენტრი“

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:		
საოფისე იჯარა	10170	10170
დაუფარავი ნაშთების თანხა:		
სავაჭრო მოთხოვნები	2000	0
სულ მოთხოვნები	2000	0

	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
ოპერაციები მნიშვნელოვანი გავლენის ქვეშ მყოფ საწარმოებთან:		
სასწავლო აუდიტორიების იჯარა	14830	18170
საოფისე იჯარა	60000	60000
დაუფარავი ნაშთების თანხა		
სავაჭრო ვალდებულებები	5900	0
სულ ვალდებულებები	5900	0

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების
ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა

140200 138 560

შვილობილი საწარმოდან დივიდენდის სახით მიღებული შემოსავლები

შვილობილი საწარმოდან საქართველოს
პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაციაში დივიდენდის სახით მიღებულმა
შემოსავალმა შეადგინა

35700 94350

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რაც საჭიროებს
გამჟღავნებას.

19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაქვეყნებლად
ხელმოწერილია 2021 წლის 27 ივლისს.

შიდა აუდიტორების გამოყენება ფინანსური ანგარიშების აუდიტში

მოდულები: აუდიტი და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურება და უმაღლესი დონის
აუდიტი და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურება

შესაძლებელია შიდა აუდიტორების გამოყენება აუდიტის მიზნებისთვის გარე აუდიტორისათვის უშუალო დახმარების გასაწევად?

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ასს) 610 – „შიდა აუდიტორების სამუშაოს გამოყენება“ – გადაიხედა და გამოქვეყნდა 2013 წელს. ამ სტანდარტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, შეუძლია თუ არა გარე აუდიტორს შიდა აუდიტის განყოფილების სამუშაოს გამოყენება აუდიტის მიზნებისთვის და სტანდარტის შესწორებულ ვერსიაში ახსნილია, შესაძლებელია თუ არა შიდა აუდიტორების გამოყენება გარე აუდიტორისათვის უშუალო დახმარების გასაწევად.

აუდიტისა და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურების და უმაღლესი დონის აუდიტისა და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურების მოდულების გამოცდებზე გამსვლელი კანდიდატები უნდა გაეცნონ სტანდარტის ამ ასპექტს, რადგან გამომცდელი ვარაუდობს, რომ მათ უნდა შეეძლოთ იმის განხილვა, რამდენად შეუძლიათ გარე აუდიტორებს შიდა აუდიტორების სამუშაოზე დაყრდნობა (აუდიტისა და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურების მოდულის სასწავლო პროგრამის დნ ნაწილი), შიდა აუდიტორების სამუშაოს მიზანშეწონილობისა და საკმარისობის შეფასება, ასევე რამდენად არის შესაძლებელი მათ სამუშაოზე დაყრდნობა (უმაღლესი დონის აუდიტისა და მარნმუნიციპალიტეტის მომსახურების მოდულის სასწავლო პროგრამის დ4 ნაწილი).

გარე და შიდა აუდიტორები

კომპანიის შიდა აუდიტის განყოფილების მიერ შესრულებული სამუშაოს დიდი ნაწილი შეიძლება ემთხვეოდეს გარე აუდიტორის მიერ ჩატარებულ სამუშაოს, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, რომლებიც შიდა კონტროლის პროცესების შეფასებას ეხება. სავარაუდოა, რომ კომპანიის შიდა კონტროლის სისტემის შეფასებისა და მიმოხილვის პროცესში შიდა აუდიტის განყოფილების თანამშრომლები ფინანსური კონტროლის საშუალებებზე ასრულებენ გარე აუდიტისთვის შესაფერის პროცედურებს. ამიტომ პროცედურების დუბლირების ნაცვლად, გარე აუდიტორმა შეიძლება შეძლოს შიდა აუდიტორის მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობა.

ამ სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ შიდა აუდიტორების მიერ გარე აუდიტორებისთვის უშუალო დახმარების გაწევაზე, რაც ისტორიულად ძალიან საკამათო საკითხი იყო. შიდა აუდიტორები სამეურნეო სუბიექტის (დამკვეთის) თანამშრომლები არიან, რამაც შეიძლება დამოუკიდებლობას საფრთხე შეუქმნას (ფაქტობრივი ან სავარაუდო/გარედან აღქმული), თუ შიდა აუდიტორები უშუალო დახმარებას გაუწევენ გარე აუდიტორებს. მეორე მხრივ, შიდა აუდიტორების მიერ უშუალო დახმარების გაწევასთან დაკავშირებული შემდეგი უპირატესობების იგნორირებაც არ შეიძლება:

- გარე და შიდა აუდიტორებს შორის ურთიერთობა გაძლიერდება უფრო ეფექტური დიალოგის საშუალებით;


- შიდა აუდიტორების **ცოდნით**, გარე აუდიტორი შეძლებს, უფრო საფუძვლიანი წარმოდგენა შეიქმნას დამკვეთზე;
- გარე აუდიტორს შეუძლია იმ შიდა აუდიტორების გამოყენება, რომლებსაც შესაბამისი ცოდნა და **გამოცდილება** აქვთ კონკრეტულ სფეროებში; და
- გარე აუდიტის გუნდი შეძლებს აქცენტის გადატანას **აუდიტის უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე**.

იმ იურისდიქციაში, სადაც შიდა აუდიტორების დახმარების გამოყენება კანონმდებლობით არ არის აკრძალული, ეს სტანდარტი უზრუნველყოფს მყარ ჩარჩოს იმის უზრუნველსაყოფად, რომ შიდა აუდიტორებისგან უშუალო დახმარების მიღება მხოლოდ შესაბამის გარემოებებში ხდებოდეს, გარე აუდიტორი ითვალისწინებდეს შესაბამის შეზღუდვებს და უსაფრთხოების ზომებს და აუდიტორის ვალდებულებები/პასუხისმგებლობა ნათლად იყოს განსაზღვრული.

მითითებები იმის დასადგენად, მიზანშეწონილი თუ არა შიდა აუდიტორებისთვის უშუალო დახმარების განევა

მაშ, როდის შეიძლება შიდა აუდიტორების გამოყენება უშუალო დახმარების გასაწევად?

გარე აუდიტორმა თავისი ვალდებულებების შესრულებისას უნდა გადანყვიტოს, მიზანშეწონილია თუ არა კონკრეტულ გარიგებაში და კონკრეტულ გარემოებებში შიდა აუდიტის განყოფილების სამუშაოს გამოყენება, უშუალო დახმარების განევის მიზნით ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. ეს სტანდარტი განსაზღვრავს რამდენიმე ნაბიჯს, რომლითაც გარე აუდიტორმა უნდა იხელმძღვანელოს იმისთვის, რომ დაადგინოს, რა დონეზე არის შესაძლებელი შიდა აუდიტორების მხრიდან უშუალო დახმარების მიღება, თუ ეს საერთოდ შესაძლებელია.



1-ლი ნაბიჯი. აკრძალვა კანონმდებლობით

შესაძლებელია, რომ გარე აუდიტორს კანონმდებლობით **ეკრძალებოდეს** შიდა აუდიტორებისგან უშუალო დახმარების მიღება. ამიტომ, პირველ რიგში, უნდა გავეცნოთ იმ იურისდიქციის კანონებსა თუ სხვა ნორმატიულ აქტებს, სადაც აუდიტორი მუშაობს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ფინანსური ანგარიშგების საბჭო (FRC) გარე აუდიტორებს უკრძალავს შიდა აუდიტორების გამოყენებას, „უშუალო დახმარების“ გაწევი აუდიტის გუნდის წევრების სახით, აუდიტორის დამოუკიდებლობის პრინციპის

გასაძლიერებლად. შესაბამისად, უშუალო დახმარებასთან დაკავშირებული მითითებები და სახელმძღვანელო პრინციპები არ გამოდგება გაერთიანებული სამეფოს ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტისათვის.

მე-2 ნაბიჯი. შიდა აუდიტორთა ობიექტურობის მიმართ შექმნილი საფრთხეების არსებობისა და მნიშვნელობის შეფასება

შიდა აუდიტორთა ობიექტურობის საფრთხეების არსებობისა და მნიშვნელობის შეფასება გარე აუდიტორის განსჯის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც გამიზნულია იმის დასადგენად, შეუძლიათ თუ არა შიდა აუდიტორებს მისთვის უშუალო დახმარების განევა. ობიექტურობა, ბესს-ის კოდექსის თანახმად, ეთიკის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია, რომლის დაცვაც ევალებათ პროფესიონალ ბუღალტრებს/აუდიტორებს.

კოდექსის მიხედვით ობიექტურობის პრინციპის დაცვაში იგულისხმება, რომ ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას კომპრომისი, პროფესიულ და საქმესთან დაკავშირებული განსჯისას მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვისი მიზანშეუწონელი გავლენის გამო. შიდა აუდიტორების ობიექტურობის შესაფასებლად გარე აუდიტორს შეუძლია შემდეგი ფაქტორების განხილვა/გათვალისწინება:

(1) რამდენად ადეკვატურად უზრუნველყოფს შიდა აუდიტის განყოფილების ორგანიზაციული სტატუსი და შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები შიდა აუდიტორების ობიექტურობას და შიდა აუდიტის განყოფილების კომპეტენტურობის დონეს?

(2) შიდა აუდიტორის ოჯახური და პირადი ურთიერთობები იმ პირთან, რომელიც მუშაობს, ან პასუხისმგებელია სამეურნეო სუბიექტში ისეთ საქმიანობაზე, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული სამუშაო.

ობიექტურობის საფრთხეების არსებობა და შეფასება

(3) კავშირი სამეურნეო სუბიექტის იმ ქვედანაყოფთან ან განყოფილებასთან, რომელთანაც დაკავშირებულია მოცემული სამუშაო.

(4) მნიშვნელოვანი ფინანსური ინტერესები სამეურნეო სუბიექტთან მიმართებით, ისეთი პირობებით ანაზღაურების გარდა, რომლებიც შესაბამისობაშია ანალოგიური თანამდებობის სხვა თანამშრომლების ანაზღაურებასთან.

უნდა აღინიშნოს, რომ გარე აუდიტორის მთავარი მიზანია ობიექტურობის მიმართ შექმნილი საფრთხეების შეფასება. მიიღეთ პირველი ფაქტორი მაგალითად - თუ მტკიცებულებები აჩვენებს, რომ შიდა აუდიტის განყოფილების ორგანიზაციული სტატუსი უზრუნველყოფს შიდა აუდიტორების ობიექტურობას, გარე აუდიტორი უფრო კომფორტულად იგრძნობს თავს შიდა აუდიტორებისგან უშუალო დახმარების მიღებისას. შიდა აუდიტორების ობიექტურობას შემდეგი სიტუაციები, სავარაუდოდ, ხელს უწყობს:

- შიდა აუდიტის განყოფილება მხოლოდ ხელმძღვანელობის მიმართ კი არ არის ანგარიშვალდებული (მაგალითად, მთავარი აღმასრულებელი პირის), არამედ ანგარიშს აბარებს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებსაც (მაგალითად, აუდიტის კომიტეტს);
- შიდა აუდიტის განყოფილებას არა აქვს არანაირი შეუთავსებელი პასუხისმგებლობები, მაგალითად მმართველობითი ხასიათის ან ოპერატიული მოვალეობები ან ვალდებულებები, რომლებიც სცილდება შიდა აუდიტის განყოფილების ფუნქციებს;

- შიდა აუდიტორები არიან სათანადო პროფესიული ორგანიზაციების წევრები და ორგანიზაციის წევრობა მათ ავალდებულებს ობიექტურობასთან დაკავშირებული სათანადო პროფესიული სტანდარტების დაცვას.

მე-3 ნაბიჯი. შიდა აუდიტორების კომპეტენტურობის დონის შეფასება

შიდა აუდიტის განყოფილების კომპეტენტურობა, სავარაუდოდ, დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ განყოფილება მთლიანობაში სათანადო დონეზე მუშაობს, რაც საშუალებას იძლევა (i) დავალებები გულმოდგინედ და (ii) მოქმედი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად შესრულდეს. ამგვარი შეფასებისას გარე აუდიტორს შეუძლია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

- არსებობს თუ არა დამკვეთ სამეურნეო სუბიექტში შიდა აუდიტორების დაქირავების, სწავლებისა და შიდა აუდიტის დავალებებში მათი ჩართვის პოლიტიკა;
- შიდა აუდიტორებს გავლილი აქვთ თუ არა ადეკვატური ტექნიკური სწავლება და აქვთ თუ არა აუდიტში მონაწილეობის გამოცდილება;
- აქვთ თუ არა შიდა აუდიტორებს სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგებისა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის სათანადო საფუძვლების გასაგებად და გამოსაყენებლად შესაფერისი აუცილებელი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ფლობენ თუ არა შიდა აუდიტორები სათანადო უნარებს (მაგალითად, დარგის სპეციფიკური ცოდნა), რაც აუცილებელია სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული სამუშაოს შესასრულებლად.

შეფასებისას გასათვალისწინებელი საკითხები

შიდა აუდიტორების ობიექტურობასა და კომპეტენტურობასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული შეფასება ახალი არ უნდა იყოს კანდიდატებისთვის, რადგან ამ ასპექტების შეფასება გარე აუდიტორის ნებისმიერი შეფასების საფუძველია, როდესაც ის ადგენს, შესაძლებელია თუ არა შიდა აუდიტორების სამუშაოზე დაყრდნობა. გარე აუდიტორს უნდა ახსოვდეს, რომ კომპეტენტურობისა და ობიექტურობის შეფასებას ერთნაირი მნიშვნელობა აქვს და უნდა შეფასდეს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად. მაგალითად, თუ გარე აუდიტორი გადაწყვეტს, რომ შიდა აუდიტორები სათანადო დონეზე კომპეტენტურობი არიან, მაგრამ დაადგენს ობიექტურობის მიმართ არსებულ მნიშვნელოვან საფრთხეებს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ გარე აუდიტორმა შეძლოს შიდა აუდიტორების გამოყენება უშუალო დახმარების გასაწევად და პირიქით.

რა საქმე შეიძლება დაევალოს იმ შიდა აუდიტორებს, რომლებიც უშუალო დახმარებას გაუწევენ გარე აუდიტორს?

ზემოაღნიშნული დეტალური შეფასების შემდეგ, თუ გარე აუდიტორი დაადგენს, რომ შესაძლებელია შიდა აუდიტორების გამოყენება აუდიტის მიზნებისათვის უშუალო დახმარების გასაწევად, გარე აუდიტორის მომდევნო გადაწყვეტილება უნდა ეხებოდეს იმ სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრას, რომლის შესრულებაც უნდა დაევალოს შიდა აუდიტორებს.

ეს ისეთი საკითხია, რომელიც მოითხოვს აუდიტორის პროფესიულ განსჯას, ვინაიდან შიდა აუდიტორების უშუალო დახმარების ფართოდ გამოყენებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა მხარეთა მიერ გარე აუდიტორთა დამოუკიდებლობის აღქმაზე. ასს 610 (გადასინჯული 2013 წელს) ზღუდავს იმ გარემოებებს, რომლის დროსაც შესაძლებელია უშუალო დახმარების მიღება შიდა აუდიტორებისგან. გარე აუდიტორებს რეკომენდაცია ეძლევათ, რომ შიდა აუდიტორების სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრისას, გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორები:

(1) რამდენად ადეკვატურად უზრუნველყოფს შიდა აუდიტის განყოფილების **ორგანიზაციული სტატუსი** და შესაბამისი პოლიტიკა და პროცედურები შიდა აუდიტორების ობიექტურობას და შიდა აუდიტის განყოფილების კომპეტენტურობის დონეს?

(2) შიდა აუდიტის განყოფილების **კომპეტენტურობის დონე**.

იმ სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრა, რომლის შესრულებაც შიდა აუდიტორებს უნდა დაევალოს.

(3) **რა დონის განსჯაა** აუცილებელი (ა) შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის და (ბ) შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შესაფასებლად.

(4) არსებითი უზუსტობის რისკის შეფასება.

როდესაც გარე აუდიტორი ადგენს, შეუძლიათ თუ არა შიდა აუდიტორებს მისთვის უშუალო დახმარების გაწევა, მან, პირველ რიგში, უნდა შეაფასოს პირველი ორი ფაქტორი. რაც უფრო ნაკლებად დამაჯერებელია შიდა აუდიტორების ობიექტურობისა და კომპეტენტურობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მით უფრო შეზღუდული იქნება იმ სამუშაოს ხასიათი და მოცულობა, რომლის შესრულებაც შეიძლება დაევალოს შიდა აუდიტორებს.

სამუშაოს ხასიათისა და მოცულობის შესახებ გადანყვეტილების საფუძვლის შესაქმნელად, გარე აუდიტორმა უნდა განიხილოს, რა დონის განსჯა იქნება აუცილებელი (ა) შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვისა და ჩატარებისთვის და (ბ) შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შესაფასებლად.

რაც უფრო მაღალია განსჯის საჭირო დონე, მით უფრო შეზღუდული იქნება იმ სამუშაოს არეალი, რომლის შესრულებაც შეიძლება დაევალოს შიდა აუდიტორებს. საზოგადოდ, მიიჩნევა, რომ აუდიტის ჩატარებისას შემდეგი სახის სამუშაოებს მნიშვნელოვანი განსჯა ესაჭიროება და ამიტომ, ასს 610-ის შესაბამისად, მათი შესრულება არ უნდა დაევალოს შიდა აუდიტორებს, რომლებიც უშუალო დახმარებას უწევენ გარე აუდიტორებს:

- არსებითი უზუსტობის რისკების შეფასება;
- ჩატარებული ტესტების საკმარისობის შეფასება;
- მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გონივრულობის/დასაბუთებულობის შეფასება; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის ადეკვატურობისა და სხვა საკითხების შეფასება, რომლებიც გავლენას ახდენს აუდიტორის დასკვნაზე.

ნებისმიერი კონკრეტული ანგარიშის ნაშთისთვის, კონკრეტული კატეგორიის ოპერაციისთვის, ან განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციისთვის, გარე აუდიტორმა უნდა გაითვალისწინოს არსებითი უზუსტობის შეფასებული რისკი, როდესაც ადგენს იმ სამუშაოს ხასიათსა და მოცულობას, რომლის შესრულების დავალებასაც აპირებს შიდა აუდიტორებისთვის. რაც უფრო მაღალია შეფასებული რისკი, მით უფრო შეზღუდული იქნება იმ სამუშაოს ხასიათი და მოცულობა, რომლის შესრულების დავალებასაც აპირებს გარე

აუდიტორი შიდა აუდიტორებისთვის. თუ აუდიტორის შეფასების მიხედვით მიიჩნევა, რომ არსებითი უზუსტობის რისკი დაბალია, მით უფრო ფართო და საფუძვლიანი განსჯა იქნება საჭირო და უფრო დამაჯერებელი აუდიტორული მტკიცებულებები. ამგვარად, ასეთ ვითარებაში, მოსალოდნელია, რომ აუდიტორული რისკის მისაღებ დაბალ დონემდე შესამცირებლად გარე აუდიტორმა უფრო მეტი პროცედურა უნდა ჩაატაროს უშუალოდ თვითონ და ნაკლებად დაეყრდნოს შიდა აუდიტორების მიერ გაწეულ დახმარებას, საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად. ასს 610-ში (გადასინჯული 2013 წელს) მოყვანილია იმ სფეროების კონკრეტული მაგალითები, სადაც უნდა შეიზღუდოს გარე აუდიტორის დაყრდნობა.

ასს 610-ში (გადასინჯული 2013 წელს) პირდაპირ მითითებულია, რომ გარე აუდიტორმა არ უნდა გამოიყენოს შიდა აუდიტორები უშუალო დახმარებისთვის ისეთი პროცედურების ჩატარებაში, რომლებიც:

- აუდიტში მნიშვნელოვანი დონის სუბიექტურ განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს;
- დაკავშირებულია არსებითი უზუსტობების რისკების მაღალ შეფასებასთან და შესაბამისი აუდიტორული პროცედურების ჩატარებისას ან შეკრებილი აუდიტორული მტკიცებულებების შეფასებისას აუცილებელია ჩვეულებრივად მისაღებ დონეზე მეტი სუბიექტური განსჯა;
- დაკავშირებულია ისეთ გადაწყვეტილებებთან, რომლებსაც ასს 610-ის შესაბამისად გარე აუდიტორი იღებს შიდა აუდიტის განყოფილებასთან, ამ განყოფილების სამუშაოს გამოყენებასთან ან უშუალო დახმარებისთვის შიდა აუდიტორების გამოყენებასთან დაკავშირებით; ან
- დაკავშირებულია ისეთ სამუშაოსთან, რომლის შესრულებაში შიდა აუდიტორები მონაწილეობდნენ და მის შესახებ შიდა აუდიტის განყოფილებამ ხელმძღვანელობას ან მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს უკვე მიაწოდა ინფორმაცია/ანგარიში, ან მიაწვდიან.

ეს შეზღუდვები მიზნად ისახავს პირადი ანგარების საფრთხის მინიმუმამდე დაყვანას.

ასს 610-ში (გადასინჯული 2013 წელს) ასევე მითითებულია, რომ შიდა აუდიტორებს არ უნდა დაევალოთ შემდეგი ტიპის სამუშაოს შესრულება და მონაწილეობაც არ უნდა მიიღონ ამ სამუშაოს შესრულებაში, გარე აუდიტორისთვის უშუალო დახმარების გასაწევად:

- თაღლითობის რისკების განხილვა. თუმცა, გარე აუდიტორს უფლება აქვს, ჩაატაროს შიდა აუდიტორების გამოკითხვა სამეურნეო სუბიექტის თაღლითობის რისკებთან დაკავშირებით, ასს 315-ის (გადასინჯული) შესაბამისად;
- მოულოდნელად ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრა ასს 240-ის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტში თაღლითობასთან დაკავშირებით“ – შესაბამისად; და
- გარე დადასტურების მოთხოვნებზე კონტროლის განხორციელება და გარე დადასტურების პროცედურების შედეგების შეფასება.

პასუხისმგებლობა იმ გარე აუდიტორების, რომლებიც შიდა აუდიტორებს იყენებენ უშუალო დახმარებისთვის

გარე აუდიტორს ეკისრება შემდეგი სახის პასუხისმგებლობები აუდიტის სხვადასხვა ეტაპზე იმ შემთხვევაში, თუ შიდა აუდიტორებს იყენებს უშუალო დახმარებისთვის:

(1) მას შემდეგ, რაც გადანაცვებს უშუალო დახმარების გასაწევად შიდა აუდიტორების გამოყენებას, გარე აუდიტორმა უნდა:

- აცნობოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, შიდა აუდიტორების სამუშაოს დაგეგმილი გამოყენების ხასიათისა და მოცულობის შესახებ, ასე 260 – „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ინფორმირება“ – შესაბამისად, რათა ურთიერთგაგებას მიაღწიონ იმის თაობაზე, რომ მოცემულ გარიგებაში და არსებულ სიტუაციაში შიდა აუდიტორების ამგვარი/ამ დონის (დაგეგმილი) გამოყენება არ არის გადაჭარბებული. ამგვარი ინფორმირება არათუ აქარწყლებს ყოველგვარ აღქმას იმის თაობაზე, რომ გარე აუდიტორის დამოუკიდებლობა შეიძლება დაირღვეს შიდა აუდიტორების უშუალო დახმარებით, არამედ ხელს უწყობს სათანადო დიალოგს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან;
- შეაფასოს, გარე აუდიტორი საკმარისად არის თუ არა ჩართული აუდიტში.

(2) უშუალო დახმარების განევის მიზნით შიდა აუდიტორების გამოყენებამდე

გარე აუდიტორმა უნდა მოიპოვოს წერილობითი თანხმობა ორი მხარისგან:

- სამეურნეო სუბიექტის უფლებამოსილი წარმომადგენლისგან, რომელიც განაცხადებს, რომ: (i) შიდა აუდიტორებს უფლება ექნებათ, შეასრულონ გარე აუდიტორის მითითებები/ინსტრუქციები და (ii) სამეურნეო სუბიექტი არ ჩაერევა იმ სამუშაოში, რომელსაც შიდა აუდიტორები შეასრულებენ გარე აუდიტორებისათვის;
- შიდა აუდიტორებისგან, რომლებიც განაცხადებენ, რომ ისინი: (i) დაიცავენ კონფიდენციალობას კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც გარე აუდიტორი მიუთითებს და (ii) გარე აუდიტორს აცნობებენ, მათი ობიექტურობის მიმართ შექმნილი ნებისმიერი საფრთხის შესახებ.

(3) აუდიტის მიმდინარეობისას:

გარე აუდიტორმა:

- ხელმძღვანელობა და ზედამხედველობა უნდა გაუწიოს გარიგებასთან დაკავშირებულ შიდა აუდიტორების სამუშაოს და განიხილოს მათ მიერ შესრულებული სამუშაო. ამასთან, უნდა გაითვალისწინოს, რომ შიდა აუდიტორები არ არიან სამეურნეო სუბიექტისგან დამოუკიდებლები. ამიტომ მოსალოდნელია, რომ ასეთი ზედამხედველობისა და განხილვის პროცესი განსხვავებული ხასიათისა და უფრო ფართო მასშტაბის იქნება, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც აუდიტის გუნდის წევრები ასრულებენ სამუშაოს;
- შეახსენოს შიდა აუდიტორებს, რომ აუდიტის დროს გამოვლენილი ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სადავო საკითხების შესახებ გარე აუდიტორებს უნდა აცნობონ;
- ხელახლა შეამოწმოს და შეაფასოს ძირითადი აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც დაკავშირებულია შიდა აუდიტორების მიერ შესრულებულ სამუშაოსთან;
- დარწმუნდეს, რომ შიდა აუდიტორებმა მოიპოვეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც განამტკიცებს ამ სამუშაოს საფუძველზე გამოტანილ დასკვნებს.

(4) აუდიტორული მტკიცებულებების დოკუმენტირება

დოკუმენტაციის მოთხოვნები, რომლებიც ადასტურებს ასს 610-ით (გადასინჯული 2013 წელს) გათვალისწინებული მნიშვნელოვანი დამცავი ზომების გამოყენებას, უფრო ფართოა იმ შემთხვევაში, როდესაც გარე აუდიტორი შიდა აუდიტორებს იყენებს უშუალო დახმარების გასაწევად. გარე აუდიტორმა სამუშაო დოკუმენტებში უნდა ასახოს შემდეგი საკითხები:

- იმ შიდა აუდიტორების **ობიექტურობის საფრთხეების** არსებობისა და მნიშვნელობის და ასევე მათი **კომპეტენტურობის დონის შეფასება**, რომლებიც გამოიყენა უშუალო დახმარებისათვის;
- შიდა აუდიტორების მიერ შესასრულებელი სამუშაოს ხასიათსა და მოცულობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების **საფუძველი**;
- **ვინ განიხილა შესრულებული სამუშაო**, მიმოხილვის ჩატარების თარიღი და მასშტაბი ასს 230-ის – „აუდიტის დოკუმენტაცია“ – შესაბამისად;
- **წერილობითი შეთანხმებები**, რომლებიც მიიღო სამეურნეო სუბიექტის უფლებამოსილი წარმომადგენლისა და შიდა აუდიტორებისგან;
- იმ შიდა აუდიტორების მიერ მომზადებული სამუშაო დოკუმენტები, რომლებმაც უშუალო დახმარება გაუწიეს აუდიტის ჩატარებისას.

დასკვნა

გარე აუდიტორმა უნდა მიმართოს პროფესიულ განსჯას, როდესაც ადგენს, კანონმდებლობის მიხედვით შესაძლებელია თუ არა შიდა აუდიტორების გამოყენება უშუალო დახმარებისთვის, სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში. კანდიდატებმა უნდა იცოდნენ (i) როგორ აკეთებს გარე აუდიტორი ასეთ შეფასებებს და (ii) რომელ პროცესებთან ან ამოცანებთან დაკავშირებით შეუძლიათ შიდა აუდიტორებს უშუალო დახმარების გაწევა გარე აუდიტორისთვის.

გახსოვდეთ, ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპია, გარე აუდიტორი, ნებისმიერ ვითარებაში, **საკმარისად იყოს ჩართული** აუდიტში, რადგან **მხოლოდ გარე აუდიტორს** აკისრია **ერთადერთი და საბოლოო პასუხისმგებლობა** ფინანსური ანგარიშგების შესახებ გამოთქმულ აუდიტორულ მოსაზრებაზე.

*თავდაპირველი სტატიის ადაპტირებული ვერსია
მოამზადა აუდიტისა და მარნმუნებელი მომსახურების
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*

ინტეგრირებული ანგარიშის ჩარჩო-დოკუმენტი

მოდული „საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება“

- პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო-დოკუმენტი
- ურთიერთობა დაინტერესებულ მხარეებთან

ჯერ კიდევ 2013 წელს ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭომ (IIRC) გამოაქვეყნა ჩარჩო-დოკუმენტი, სახელწოდებით „ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საფუძვლები“. ამ დოკუმენტის გამოცემას მოჰყვა სამთვლიანი კონსულტაციები საერთაშორისო დონეზე და ტესტირება 25 ქვეყანაში.

ეს დოკუმენტი ადგენს პრინციპებსა და კონცეფციებს, რომლებიც არეგულირებს ინტეგრირებული ანგარიშის საერთო შინაარსს.

ინტეგრირებულ ანგარიშში აღწერილია ორგანიზაციის სტრატეგია, მმართველობა, მისი საქმიანობა და პერსპექტივები, რაც განაპირობებს ღირებულების შექმნას. ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, ეს დოკუმენტი არ შეიცავს საორიენტაციო ნიშნულს – სხვადასხვა ორგანიზაციისთვის სხვადასხვანაირი იქნება ანგარიშის ეს ნაწილი, ორგანიზაციისა და მისი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე. აღსანიშნავია, რომ ინტეგრირებული ანგარიში, პირველ რიგში, განკუთვნილია კერძო სექტორისთვის, თუმცა ადაპტირებული სახით მისი გამოყენება შესაძლებელია საჯარო სექტორშიც და არაკომერციულ ორგანიზაციებშიც.

ინტეგრირებული ანგარიშის მთავარი მიზანია, ფინანსური კაპიტალის მომწოდებლებისთვის იმის ახსნა, როგორ ქმნიდა და ქმნის ორგანიზაცია ღირებულებას. ინტეგრირებული ანგარიში სარგებელს მოუტანს ყველა მხარეს, ვისაც აინტერესებს, როგორ ქმნის კომპანია ღირებულებას, მათ შორის მთავარ დაინტერესებულ მხარეებს: თანამშრომლებს, მომხმარებლებს, მომწოდებლებს, საქმიან პარტნიორებს, ადგილობრივ საზოგადოებას, საკანონმდებლო ორგანოებს, მარეგულირებელ ორგანოებს და პოლიტიკოსებს, თუმცა, ეს ანგარიში პირდაპირ არ არის განკუთვნილი ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კაპიტალის განაწილებაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა ფინანსური კაპიტალის მომწოდებლებს შეუძლიათ და იმის მცდელობა, რომ ანგარიში ყველა დაინტერესებულ მხარეზე იყოს ორიენტირებული, მიუღწეველი ამოცანა იქნებოდა და, გარდა ამისა, შეამცირებდა ანგარიშის ფოკუსს (ინტერესის ცენტრს) და გაზრდიდა მის მოცულობას. ეს კი ეწინააღმდეგება ანგარიშის მიზნებს, კერძოდ, ღირებულების შექმნას.

გასული პერიოდების ფინანსური ანგარიშგებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს კორპორაციულ ანგარიშგებაში, განსაკუთრებით ნორმატიული მოთხოვნების დაცვის მიზნებისთვის, მაგრამ არ შეიცავს მნიშვნელოვან ინფორმაციას ბიზნესის/კომპანიის ღირებულების შესახებ. მომხმარებლებს უფრო მეტად აინტერესებთ მომავალზე ორიენტირებული ინფორმაცია და კომპანიის ხედვის/პერსპექტივის შეფასება ისე, რომ არ დასჭირდეთ თვითონ კომპანიების მიერ გამოთვლილი მოკლევადიანი თუ გრძელვადიანი პროგნოზები. კომპანიებმა გაიცნობიერეს ინტეგრირებული ანგარიშის სარგებლიანობა, კერძოდ, რამდენად მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეების, ზოგადად, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდება, კომპანიის ღირებულების უფრო სრულყოფილი სურათისა და ორგანიზაციის უფრო ყოვლისმომცველი ხედვის შესახებ.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საფუძვლები ხელს შეუწყობს ისეთი ანგარიშის მომზადებას, რომელიც გვიჩვენებს კომპანიის საქმიანობასა და მიღწეულ შედეგებს სტრატეგიასთან შედარებით, რა ტიპის კაპიტალს იყენებს კომპანია ღირებულების შესაქმნელად და ასევე წარმოაჩენს ორგანიზაციის გრძელვადიან ხედვას. ინტეგრირებული

ანგარიში წლიური ანგარიშის ახალი თაობაა, რადგან იგი დაინტერესებულ მხარეებს საშუალებას აძლევს, უფრო გაცნობიერებულად და არგუმენტირებულად, დამოუკიდებლად შეაფასონ ორგანიზაცია და მისი პერსპექტივა.

პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო-დოკუმენტი

ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო საბჭომ ჩამოაყალიბა პრინციპებზე დაფუძნებული საფუძვლები, ნაცვლად იმისა, რომ კომპანიებისთვის დაედგინა გასამუდავებელი დეტალური ინფორმაცია და შეფასების სტანდარტები. ამგვარი მიდგომა თითოეულ კომპანიას საშუალებას აძლევს, თვითონ ჩამოაყალიბოს საკუთარი ანგარიში, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენოს „საკონტროლო კითხვარის მიდგომა“. ორგანიზაციული კულტურის შეცვლა კომპანიებს საშუალებას მისცემს, იმაზე უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი ღირებულების შექმნის პროცესი, ვიდრე ამის მიღწევა შესაძლებელია ფინანსური ანგარიშების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ინფორმაციის გამუდმებით საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშებაში, რაც ხშირად მაინც შაბლონურ ხასიათს ატარებს. ინტეგრირებული ანგარიში მოქმედებს როგორც პლატფორმა იმის ასახსნელად, თუ რა ქმნის ძირითად ღირებულებას კომპანიაში და როგორ იცავს ხელმძღვანელობა ამ ღირებულებას. სწორედ ეს ანიჭებს ინტეგრირებულ ანგარიშს უფრო მეტ აქტუალობას ბიზნესისთვის/კომპანიისთვის, ვიდრე ამჟამად გამოყენებული მიდგომა, რომელიც მოთხოვნების დაცვას ეყრდნობა.

ინტეგრირებული ანგარიშება არ ჩანაცვლებს ანგარიშების სხვა ფორმებს, არამედ კონცეფცია იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშის შემდგენლები ერთად მოუყრიან უკვე თავს შექმნილ ყველაწარმოადგენს ინფორმაციას, მათი ბიზნესის ღირებულების მთავარი მამოძრავებელი ძალის ასახსნელად, ვინაიდან ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო საფუძვლების შესაბამისად მომზადებული ინტეგრირებული ანგარიში ერთმანეთთან აკავშირებს ყველა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც ეხება საწარმოსა და მის ღირებულების შექმნის პროცესს, მათ შორის, კომპანიის ფინანსურ, საოპერაციო, არამატერიალურ, მდგრადი განვითარების ან „ეკოლოგიურ, სოციალურ და მმართველობით“ ასპექტებს, კომპანიის მმართველობის, სტრატეგიის, რესურსების განაწილებისა და ურთიერთობების მართვის, ბიზნესმოდელისა და ასევე მისი საქმიანობის შედეგებისა და პერსპექტივის კონტექსტში. ამასთან, ინფორმაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ჩართული ანგარიშში, თუ ის არსებითია დაინტერესებული მხარეებისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მათ დაეხმარება კომპანიის შეფასებაში.

კონსულტაციების დროს გარკვეული მხარეები შეშფოთებას გამოხატავენ იმის თაობაზე, რომ ტერმინს „არსებითობა“ გარკვეული სამართლებრივი ქვეტექსტი ჰქონდა, რის გამოც ზოგიერთმა სუბიექტმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ მათ ინტეგრირებულ ანგარიშში უნდა შეიტანონ მარეგულირებელი ინფორმაცია. თუმცა, ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო საბჭომ დაასკვნა, რომ ამ ტერმინის გამოყენება უნდა გაგრძელდეს ამ კონტექსტში, ვინაიდან გასაგებია.

ინტეგრირებული ანგარიში მიზნად ისახავს, დაინტერესებულ მხარეებს წარმოდგენა შეუქმნას, კომპანიის იმ რესურსებისა და ურთიერთობების შესახებ, რასაც კაპიტალს უწოდებენ, ასევე იმის თაობაზე, როგორ ურთიერთქმედებს კომპანია გარემოსა და სხვადასხვა ტიპის კაპიტალთან ღირებულების შესაქმნელად. კაპიტალი შეიძლება იყოს ფინანსური, საწარმოო, ინტელექტუალური, ადამიანური, სოციალური და ურთიერთობები, ასევე ბუნებრივი კაპიტალი, მაგრამ კომპანიებს არ სჭირდებათ ამგვარი კლასიფიკაციის გამოყენება. ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო საფუძვლების მიზანია, შეიმუშაოს ანგარიშის შინაარსის სახელმძღვანელო პრინციპები და განმარტოს ფუნდამენტური ცნებები, რომლებსაც ეს პრინციპები ეყრდნობა.

ანგარიში უნდა იყოს ლაკონური, საიმედო და სრულყოფილი, მოიცავდეს ყველა არსებით საკითხს როგორც პოზიტიურს, ისე უარყოფითს, დაბალანსებული გზით და არსებითი შეცდომების გარეშე.

ინტეგრირებული ანგარიშგება ფორმირებულია შემდეგი ძირითადი კომპონენტების გარშემო:

1. ორგანიზაციული ასპექტებისა და გარემოს მიმოხილვა, სადაც კომპანია საქმიანობს;
2. მმართველობის სტრუქტურა და იგი როგორ უწყობს ხელს კომპანიის ღირებულების შექმნის შესაძლებლობას;
3. ბიზნესმოდელი;
4. რისკები და შესაძლებლობები და როგორ უმკლავდება კომპანია მათ და როგორ ზემოქმედებს ისინი კომპანიის ღირებულების შექმნის შესაძლებლობაზე;
5. სტრატეგია და რესურსების განაწილება;
6. განსახილველი პერიოდის საქმიანობა, სტრატეგიული ამოცანები და მიღწეული შედეგები;
7. კომპანიის წინაშე არსებული პერსპექტივები და გამოწვევები და მათი ზეგავლენა ღირებულების შექმნის პროცესზე;
8. კომპანიამ აუცილებლად უნდა განსაზღვროს ანგარიშის წარდგენის საფუძველი, მათ შორის საკითხები, რომლებიც უნდა აისახოს ინტეგრირებულ ანგარიშში და როგორ მოხდება ამ ელემენტების რაოდენობრივი განსაზღვრა ან შეფასება.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო ჩარჩო-დოკუმენტი არ მოითხოვს ზემოთ ჩამოთვლილი განყოფილებების ცალ-ცალკე გამოყოფას და ანგარიშში ჩართვას, მაგრამ ანგარიში უნდა მოიცავდეს საფუძვლიან მიმოხილვას, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ყველა შესაბამისი ასპექტი. ზემოაღნიშნული შინაარსის ფარგლებში „მოქმედების“ შედეგად შეიძლება შეიქმნას მთავარი სიუჟეტური ხაზი და ანგარიშის ძირითადი ელემენტები შეიძლება ისე განისაზღვროს, რომ თითოეული კომპანიის შესაბამისი ინფორმაცია განსხვავებული იყოს.

დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა

ინტეგრირებულმა ანგარიშმა მკითხველს წარმოდგენა უნდა შეუქმნას ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან, ორგანიზაციის ურთიერთკავშირების თავისებურებებისა და ხარისხის შესახებ, მათ შორის, როგორ და რამდენად ესმის ორგანიზაციას მათი მოთხოვნილებები და ინტერესები და როგორ და რამდენად ითვალისწინებს და რეაგირებს მათზე. გარდა ამისა, ანგარიში წლების მანძილზე უნდა იყოს თანმიმდევრული და ურთიერთთავსებადი, რათა შესაძლებელი იყოს სხვა სუბიექტებთან შედარება.

სამხრეთ აფრიკული ორგანიზაციები კორპორაციული ანგარიშგების ამ სფეროში ლიდერებად არიან აღიარებულნი, სადაც ბევრი საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია და მსხვილი სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი კომპანია თავიდანვე ინტეგრირებულ ანგარიშებს აქვეყნებდა. ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება მომზადდეს არსებული ნორმატიული მოთხოვნების შესაბამისად, როგორცაა, მაგალითად ხელმძღვანელობის კომენტარები. თუ ეს ანგარიშიც ზემოაღნიშნული საფუძვლების მიხედვით იქნება მომზადებული, ან თუნდაც მის გარეშე, შესაძლებელია, მიჩნეული იყოს ინტეგრირებულ ანგარიშად.

ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება იყოს დამოუკიდებელი ანგარიში ან ჩართული იყოს სხვა ანგარიშში, განცალკევებული, განსხვავებული ნაწილის სახით. მაგალითად, ინტეგრირებული ანგარიში შეიძლება ჩაირთოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში/მასთან ერთად ერთ დოკუმენტში გამოქვეყნდეს.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭომ განიხილა ღირებულებისა და ღირებულების შექმნის პროცესის ბუნება. ეს ტერმინები შეიძლება მოიცავდეს ყველანაირ

კაპიტალს, კომპანიის მიერ მიღებულ სარგებელს, ორგანიზაციის საბაზრო ღირებულებას ან ფულად ნაკადებს და კომპანიის მიზნების წარმატებით მიღწევას. თუმცა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ინტეგრირებული ანგარიშგების ჩარჩო-დოკუმენტი ღირებულებას არ უნდა განსაზღვრავდეს რომელიმე კონკრეტული პოზიციიდან, რადგან ღირებულება თითოეული კომპანიის საკუთარ თვალთახედვაზე დამოკიდებულია. ანგარიშის მეშვეობით ღირებულების წარმოჩენა შესაძლებელია ინფორმაციის წარმოდგენით, კაპიტალის მოძრაობის შესახებ, და ამით გამოჩნდება ღირებულება, რომელიც შექმნილია კომპანიისთვის ან სხვებისთვის. ინტეგრირებულ ანგარიშში კომპანია არ უნდა ცდილობდეს ღირებულების რაოდენობრივად განსაზღვრას, რადგან ღირებულების შეფასება იმ პირთა პრეროგატივაა უნდა იყოს, ვინც ანგარიშს იყენებს.

ბევრი რესპონდენტი მიიჩნევდა, რომ ინტეგრირებული ანგარიშგების საფუძვლებში უნდა არსებობდეს მოთხოვნა, რომ ანგარიში შეიცავდეს განცხადებას იმის თაობაზე, რომ კომპანიის „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები“ აღიარებენ თავიანთ პასუხისმგებლობას ინტეგრირებულ ანგარიშზე, რაც უზრუნველყოფს ინტეგრირებული ანგარიშის საიმედოობასა და სანდოობას. გარდა ამისა, ამგვარი განცხადებით გაიზრდება ანგარიშვალდებულება ანგარიშის შინაარსზეც.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭო მიიჩნევს, რომ ამგვარი განცხადების ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს დამატებითი პასუხისმგებლობის პრობლემები, როგორცაა გარკვეული იურისდიქციის მარეგულირებელ მოთხოვნებთან შეუსაბამობა და, გარდა ამისა, შეიძლება განაპირობოს უფრო მაღალი დონის სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობა. ამასთან, ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭოს მოსაზრებით, ზემოაღნიშნული საკითხების გამო, შესაძლოა შეფერხდეს/შენელდეს ანგარიშის განხილვის პროცესი და ამიტომ საბჭომ გადაწყვიტა, რომ „მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს“ ახლა თუ არა, გარკვეული დროის შემდეგ მაინც უნდა მოეთხოვოთ თავიანთი პასუხისმგებლობის აღიარება ინტეგრირებულ ანგარიშზე, ამავე დროს მათ ისიც უნდა გაიცნობიერონ, რომ სანდოობა არ ექნება იმ ანგარიშებს, რომლის მომზადებაშიც მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები არ მონაწილეობდნენ.

კონსულტაციების დროს დებატები გაიმართა იმის თაობაზე, ინტეგრირებული ანგარიშგების ეს საფუძვლები ადგენს თუ არა შესაფერის კრიტერიუმებს ანგარიშის მომზადებისა და მისი სარწმუნოების უზრუნველსაყოფად. დასმული კითხვები ეხებოდა შეფასების სტანდარტებს/კრიტერიუმებს, რომლებიც კომპანიებს უნდა გამოეყენებინათ, ანგარიშში წარმოსადგენი ინფორმაციის მიმართ და როგორ შეუძლია ანგარიშის შემდგენელს ანგარიშის სისრულის დადგენა.

ზოგიერთმა რესპონდენტმა ეჭვი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ შესაძლებელი იქნებოდა მომავლის შესახებ გამჟღავნებული ინფორმაციის შეფასება დაინტერესებული მხარეების მიერ. მათ საბჭოს შესთავაზეს კონკრეტული კრიტერიუმების განსაზღვრა შეფასებისთვის და ასევე მოთხოვნის ჩართვა ინტეგრირებული ანგარიშგების ჩარჩო-დოკუმენტში იმის თაობაზე, რომ უნდა გამჟღავნებულიყო ინფორმაცია, შედეგების დიაპაზონისა და სანდოობის ინტერვალების შესახებ.

ინტეგრირებული ანგარიშის მომზადება მოითხოვს განსჯას, მაგრამ არსებობს მოთხოვნა, რომ ანგარიშში აღწერილი უნდა იყოს მისი მომზადებისა და წარდგენის საფუძველი, მათ შორის მნიშვნელოვანი საფუძვლები და მეთოდები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა არსებითი საკითხების რაოდენობრივად გამოსახვისთვის ან შეფასებისთვის. გარდა ამისა, ანგარიშში მოკლედ უნდა იყოს აღწერილი, თუ როგორ განსაზღვრა კომპანიამ არსებითობის ზღვრები და ასევე მოცემული უნდა იყოს ანგარიშგების საზღვრების აღწერა.

ინტეგრირებული ანგარიშგების საერთაშორისო საბჭომ განაცხადა, რომ საქმიანობის კონკრეტული ძირითადი მაჩვენებლებისა და შეფასების მეთოდების დაწესება სცილდება პრინციპებზე დაფუძნებული ჩარჩო-დოკუმენტის მიზნის ფარგლებს. ინტეგრირებული ანგარიშგების საფუძვლები შეიცავს ინფორმაციას, პრინციპებზე დაფუძნებული მიდგომის

შესახებ და მიუთითებს, რომ აუცილებელია ანგარიშში რაოდენობრივი მაჩვენებლების ჩართვა, როდესაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ანგარიშში გამოყენებული შეფასების მეთოდები ურთიერთთავსებადი და შესადარისი იყოს. ამიტომ ინტეგრირებული ანგარიშების ზემოხსენებულ ჩარჩოდოკუმენტში არსებობს მოკლე მითითებები, შესაბამისი რაოდენობრივი მაჩვენებლების შერჩევის შესახებ.

კომპანიამ კარგად უნდა გაიაზროს, როგორ უნდა აღწეროს ინფორმაცია ისე, რომ მნიშვნელოვანი ზიანი არ მიაყენოს კონკურენტულ უპირატესობას. კომპანიამ უნდა განიხილოს, რეალურად რა უპირატესობის მიღებას შეძლებს კონკურენტი ინტეგრირებულ ანგარიშში მოცემული ინფორმაციის გაცნობით და დააბალანსოს ეს ინფორმაციის გამჟღავნების აუცილებლობით.

კომპანიები ყველანაირად ცდილობენ, რომ ტრადიციული ანგარიშების მეშვეობით დაინტერესებულ მხარეებს მიაწოდონ ინფორმაცია თავიანთი ღირებულების შესახებ. ინტეგრირებული ანგარიშების საერთაშორისო ჩარჩოდოკუმენტი შეიძლება ეფექტური ინსტრუმენტი აღმოჩნდეს იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც სურთ, რომ თავიანთი ანგარიშვალდებულების აქცენტი წლიური ფინანსური მაჩვენებლებიდან აქციონერთათვის გრძელვადიანი ღირებულების შექმნის მიზანზე გადაიტანონ. ეს საფუძვლები მიმზიდველი იქნება იმ კომპანიებისთვისაც, რომელთაც სურთ თავიანთი ნარატიული ანგარიშების განვითარება ბიზნესმოდელის საფუძველზე, რათა ახსნან, როგორ ვითარდებოდა კომპანია და მისი ბიზნესი.

დასკვნის სახით

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. დღეს არათუ აქტუალურია კომპანიების მიერ გამოქვეყნებული ინტეგრირებული ანგარიშები, არამედ აქტუალური ხდება მოთხოვნა ისეთ ინტეგრირებულ ანგარიშებზე, რომლებსაც დაერთვის აუდიტორების მიერ გაცემული მარწმუნებელი დასკვნა.

და რაც უფრო მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე უკვე დაიწყო ამ მიმართულებით მუშაობა და, მეორე მხრივ, დღის სინათლეზეც უკვე ჩნდება ისეთი ინტეგრირებული ანგარიშები, რომლებსაც დაერთვის დამოუკიდებელი პროფესიონალის მიერ შედგენილი შეზღუდული რწმუნების დასკვნა. ყოველივე ეს კი რეალური დასტურია იმისა, რამდენად მნიშვნელოვანია ინვესტორებისთვის, პოტენციური ინვესტორებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ინტეგრირებული ანგარიშები და მათი საიმედოობა და სანდოობა.

*სტატიის განახლებული ვერსია მოამზადა
„საწარმოს სტრატეგიული ანგარიშების“
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა*

ინვესტიციის შეფასება

მოდული „ფინანსური მართვა“

ინვესტიციის შეფასება ფინანსური მართვის მოდულის სასწავლო პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა. ამ თემასთან დაკავშირებული კითხვები რეგულარულად გვხვდება გამოცდებზე. ინვესტიციის შეფასება რამდენიმე მეთოდით არის შესაძლებელი: ამოგება, უკუგების სააღრიცხვო განაკვეთი, წმინდა მიმდინარე ღირებულების დისკონტირებული ფულადი ნაკადები და უკუგების შიდა განაკვეთი. კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ შეუძლიათ თითოეული ზემოაღნიშნული მეთოდის განმარტება, აუცილებელი გაანგარიშების ჩატარება და მეთოდის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვა.

ამ მეთოდებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია წმინდა მიმდინარე ღირებულების მეთოდი, როგორც პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ისე გამოცდის მიზნებისთვის. „ფინანსური მართვის“ მოდულის სასწავლო პროგრამის ძირითადი პრობლემა ის არის, რომ კანდიდატები სწავლას ისე იწყებენ, რომ არ იციან დისკონტირება, მაგრამ ძალიან სწრაფად ეუფლებიან შედარებით კარგად დამუშავებულ და სრულყოფილ წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშებებს, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა ინფლაცია, საგადასახადო დაბეგვრა, საბრუნავი კაპიტალი და რელევანტური/არარელევანტური ფულადი ნაკადები. წარსული პერიოდების ბევრ გამოცდაზე ბევრ საგამოცდო კითხვას საფუძვლად ედო წმინდა მიმდინარე ღირებულების, ან უკუგების შიდა განაკვეთის გამოთვლები.

ჩვენი სტატიის მიზანია, მოკლედ განვიხილოთ ზემოაღნიშნული პოტენციურად პრობლემური სფეროები და შემდეგ განვიხილოთ კომპლექსური მაგალითი, რომელიც მოიცავს ყველა ამ საკითხს. ტექნიკურად ეს მაგალითი, სავარაუდოდ, გაცილებით იმაზე რთულია, ვიდრე რომელიმე საგამოცდო კითხვა. თუმცა, ამ მაგალითში მოყვანილია იმდენად ბევრი საკითხი, რამდენიც კი შეიძლება კანდიდატებს სინამდვილეში შეხვდეთ გამოცდაზე. მეორე მხრივ, საგამოცდო კითხვები სცენარის ფორმატით იქნება წარმოდგენილი და, მაშასადამე, საჭირო ინფორმაციის მოძიება შეიძლება გაცილებით იმაზე რთული იყოს, ვიდრე ამ მაგალითში.

პრობლემური სფეროები

ინფლაცია

კანდიდატებმა უნდა იცოდნენ ინვესტიციის შეფასების ორი განსხვავებული მეთოდი, რომლებიც ინფლაციას ითვალისწინებს და როდის უნდა გამოიყენონ ეს მეთოდები. ნომინალური მეთოდის დროს ინფლაცია გათვალისწინებულია როგორც ფულადი ნაკადის პროგნოზში, ისე გამოყენებულ დისკონტირებულ განაკვეთშიც, ხოლო რეალური მეთოდის დროს, ინფლაცია უგულებელყოფილია როგორც ფულადი ნაკადის პროგნოზში, ისე დისკონტირების განაკვეთში. ნომინალური მეთოდი მაშინ გამოიყენება, როდესაც კითხვაში მოცემულია ფულადი ნაკადები, რომლებზეც გავლენას ახდენს ინფლაციის სხვადასხვა დონე, ან, როდესაც კითხვა მოიცავს გადასახადსაც და ინფლაციასაც. ამის გამო, ნომინალური მეთოდის გამოყენება უფრო ხშირად მოითხოვება საგამოცდო კითხვაში. კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ შეუძლიათ ფიშერის ფორმულის გამოყენება დისკონტირების მიზნებისთვის კაპიტალის ნომინალური ღირებულების გამოსათვლელად, ან კაპიტალის რეალური ღირებულების გამოსათვლელად. მათ ასევე უნდა შეეძლოთ ინფლაციის საერთო დონისა და ინფლაციის სპეციფიკური დონის ერთმანეთისგან გამიჯვნა – ინფლაციის საერთო დონე გავლენას იქონიებს კაპიტალის ფულად ღირებულებაზე და პოტენციურად ზოგიერთ ფულად ნაკადზე, ხოლო ინფლაციის სპეციფიკური დონე ეხება მხოლოდ კონკრეტულ ფულად ნაკადებს.

საგადასახადო დაბეგვრა

პასუხში საგადასახადო დაბეგვრის გათვალისწინება დისკონტირებულ ფულად ნაკადში „კარგიც არის, ცუდიც და სახიფათოც“! გადასახადის გათვალისწინება კარგი იმიტომ არის, რომ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებზე ხშირად ცვეთის გამოქვითვის შედეგად გათვალისწინება დაბეგვრის (მოგების გადასახადის გამოთვლის) მიზნებისთვის და გადასახადის შემცირებით კომპანია იღებს ფულადი ნაკადების ეკონომიას. ცუდი იმიტომ არის, რომ როდესაც რომელიმე პროექტის შედეგად წმინდა ფულადი ნაკადები შემოდის კომპანიაში, საგადასახადო ორგანოები ამაში „წილს“ მოითხოვენ. „სახიფათო“ პრობლემაა ამ ფულადი ნაკადების წარმოქმნის დრო, ვინაიდან ეს ისეთი სფეროა, რომელიც ხშირად გაუგებრობას იწვევს კანდიდატებში.

საბრუნავი კაპიტალი

მთავარი საკითხი, რაც საბრუნავ კაპიტალთან დაკავშირებით უნდა გახსოვდეთ, ის არის, რომ საბრუნავი კაპიტალის ზრდა არის ფულადი ნაკადების გადინება კომპანიიდან. მაგალითად, თუ კომპანიას ბევრი მარაგის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების) ყიდვა სჭირდება, ეს იქნება ნომინალური ღირებულება. ანალოგიურად, საბრუნავი კაპიტალის შემცირება არის ფულადი ნაკადების შემოსვლა კომპანიაში. მაშასადამე, როდესაც პროექტის თანახმად საბრუნავ კაპიტალში ხდება ინვესტირება, პროექტის ბოლოს აღარ მოთხოვება ფულადი სახსრების მიღება. კანდიდატებმა უნდა გაიცნობიერონ, რომ ფულადი ნაკადი არის საბრუნავ კაპიტალში მომხდარი ცვლილებები. კანდიდატებს ხშირად პრობლემას უქმნის ის ფაქტი, რომ წინა წელს ნაყიდი მარაგები გაიყიდება და, მაშასადამე, მისი ჩანაცვლება უნდა მოხდეს. ამასთან, ვინაიდან მარაგის ელემენტები გაიყიდა, მათი ღირებულება სადმე სხვაგან აისახება ფულადი ნაკადების ცხრილში.

რელევანტური/არარელევანტური ფულადი ნაკადები

რელევანტური/არარელევანტური ფულადი ნაკადების საკითხი იშვიათად არის დიდი პრობლემა „ფინანსური მართვის“ მოდულში, ვინაიდან კანდიდატებს ეს თემა ადრე აქვთ ჩაბარებული. თუმცა, კანდიდატებს უნდა ახსოვდეთ „ოქროს წესი“, კერძოდ, იმისათვის, რომ რომელიმე მუხლი მოხვდეს ფულადი ნაკადების ცხრილში, ეს მუხლი უნდა იყოს მომავალი, დამატებითი ფულადი ნაკადი. არარელევანტური მუხლები დაუბრუნებადი დანახარჯებია, როგორიცაა, მაგალითად თანხები, რომლებიც უკვე დაიხარჯა პროექტის გამოკვლევაზე და განაწილებული ან მიკუთვნებულია მუდმივ დანახარჯებზე. ანალოგიურად, ყველა ფინანსური დანახარჯი უნდა უგულებელყოთ, ვინაიდან დაფინანსების ღირებულება აისახება გამოყენებულ დისკონტირების განაკვეთში.

შეფასებისთვის გამოყენებული ფიქსირებული პერიოდი

ზოგჯერ კომპანიის დირექტორები პროექტებს აფასებენ მხოლოდ დროის მოცემული მონაკვეთის ფარგლებში, რაც არ ემთხვევა პროექტის რეალურ ხანგრძლივობას და ამიტომ ვერ მოიცავს ყველა ფულად ნაკადს. თუ გამოიყენება ოთხწლიანი პერიოდი, უნდა გავითვალისწინოთ მეოთხე წლის საგადასახადო შედეგებიც, იმ შემთხვევაშიც კი, თუ გადასახადი გადასახდელია მე-5 წელს, ანუ მე-5 წელს წარმოიქმნება ფულადი ნაკადები.

ვინაიდან უკვე გავიხსენეთ პოტენციური პრობლემური სფეროები, ახლა განვიხილოთ დაპირებული კომპლექსური მაგალითი:

„სი-ბი-სი“

კომპანია „სი-ბი-სი“ ამჟამად იხილავს ახალ საინვესტიციო პროექტს, რომელიც დაიწყება მაშინვე და გაგრძელდება ოთხ წელს. კომპანიამ შეაგროვა შემდეგი ინფორმაცია:

აქტივის ღირებულება – \$160,000.

მოსალოდნელია, რომ წლიური რეალიზაცია 1-ელ და მე-2 წელს იქნება 30,000 ერთეული და შემდეგ ყოველწლიურად 50,000 ერთეულით დაეცემა მე-3 და მე-4 წელს.

პირველი წლის ფასებით პირველ წელს მოსალოდნელია, რომ პროდუქციის ერთეულის გასაყიდი ფასი იქნება \$4.40 და შემდეგ ეს თანხა ყოველწლიურად 3%-ით გაიზრდება. ცვლადი დანახარჯები მოსალოდნელია, რომ იქნება \$0.70 პროდუქციის ერთეულზე მიმდინარე ფასებით, ხოლო დამატებითი მუდმივი დანახარჯები პირველ წელს მოსალოდნელია, რომ იქნება \$0.30 ერთეულზე, მიმდინარე ფასებით. ასევე მოსალოდნელია, რომ ორივე ზემოაღნიშნული დანახარჯი ყოველწლიურად 5%-ით გაიზრდება.

მოსალოდნელია, რომ აქტივს ექნება \$40,000 ნარჩენი ღირებულება ნომინალურ ფასებში.

პროექტი საჭიროებს ინვესტიციის ჩადებას საბრუნავ კაპიტალში, რეალიზაციიდან მოსალოდნელი ამონაგების 10%-ის ოდენობით. ეს ინვესტიცია უნდა განხორციელდეს თითოეული წლის დასაწყისში.

მოგების გადასახადი არის წლიური 30% და გადასახდელია ყოველი წლის ბოლოს. საგადასახადო მიზნებისთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულებიდან ცვეთის გამოქვითვა 25%-იანი განაკვეთით, შემცირებადი ნაშთის მეთოდით.

საერთო ინფლაციის დონე არის 4% და კაპიტალის რეალური ღირებულება – 7.7%. პროექტის სანყის გამოკვლევაზე უკვე დახარჯულია \$12,000.

მოგეთხოვებათ.

გამოითვალეთ წმინდა მიმდინარე ღირებულება განსახილველი პროექტისთვის.

ამოხსნა და განმარტებითი შენიშვნები

ბევრი კანდიდატი ხაფანგში ებმება იმით, რომ ძალიან სწრაფად იწყებს ფულადი ნაკადების ცხრილის შედგენას. თავდაპირველად რამდენიმე გაანგარიშებაა ჩასატარებელი, ან „მოსაფიქრებელი“. საზოგადოდ, ამ გაანგარიშებების ჩატარება შესაძლებელია ნებისმიერი თანმიმდევრობით. გაანგარიშებების შესრულების შემდეგ სწრაფად და სწორად შეიძლება ფულადი ნაკადების ცხრილის შევსება. სანამ ამას გავაკეთებთ, კანდიდატებმა უნდა გაიგონ განსხვავება „T“-სა და წელს შორის. „T“ არის დროის რომელიმე მომენტი და, მაშასადამე, T0 არის ახლა და T1 მოხდება ერთწლიან პერიოდში. წელი დროის პერიოდია და, მაშასადამე, 1-ლი წელი არის T0 -სა და T1-ს შორის პერიოდი, ხოლო მე-2 წელი არის T1-სა და T2-ს შორის პერიოდი.

მიაქციეთ ყურადღება. T1 არის როგორც 1-ლი წლის ბოლო, ისე მე-2 წლის დასაწყისი.

1-ლი გაანგარიშება – ინფლაცია

ვინაიდან კითხვა მოიცავს როგორც გადასახადს, ისე ინფლაციას და ინფლაციის განსხვავებული დონეები გვაქვს მოცემული, უნდა გამოვიყენოთ ნომინალური მეთოდი. მაშასადამე, ფულადი ნაკადების ცხრილში უნდა მოხდეს ფულადი ნაკადების გადიდება ინფლაციის დონის გასათვალისწინებლად და შემდეგ უნდა მოხდეს მისი დისკონტირება კაპიტალის ნომინალური ღირებულების გამოყენებით. ვინაიდან კაპიტალის ნომინალური ღირებულება ამოცანის პირობაში მოცემული არ არის, უნდა გამოვითვალოთ ფიშერის ფორმულით:

$$(1 + i) = (1 + r)(1 + h)$$

$$(1 + i) = (1 + 0.077) \times (1 + 0.04) = 1.12;$$

ამგვარად, „i“ კაპიტალის ნომინალური ღირებულება არის 0.12 ანუ 12%.

შენიშვნა. 7.7% რეალური განაკვეთი (r) და 4% ინფლაციის დონე (h) უნდა გამოისახოს ათწილადებში, როდესაც გამოვიყენებთ ფიშერის ფორმულას.

მე-2 გაანგარიშება – საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთის საგადასახადო სარგებელი

წელი	გამოსაქვითი ცვეთის ღირებულება	საგადასახადო სარგებელი მოგების გადასახადის 30%-იანი განაკვეთის დროს	პერიოდი
	\$'000	\$'000	
აქტივის ღირებულება	160.0		
1 – 25% ცვეთის ჩამოწერა	(40.0)	12.0	T2
	120.0		
2 – 25% ცვეთის ჩამოწერა	(30.0)	9.0	T3
	90.0		
3 – 25% ცვეთის ჩამოწერა	(22.5)	6.8	T4
	67.5		
4 – დამაბალანსებელი ცვეთის ჩამოწერა	(27.5)	8.3	T5
ნარჩენი ღირებულება (მოცემულია ამოცანის პირობაში)	40.0		

შენიშვნები.

გამომცდელის ჩვეულებრივი დაშვება იმაში მდგომარეობს, რომ აქტივი გაიყიდება პროექტის 1-ლი წლის დასაწყისში და, მაშასადამე, 1-ლი ჩამოსაწერი ცვეთის თანხა ჩამოიწერება პროექტის 1-ელ წელს.

1-ლი წლის გამოსაქვითი ცვეთა და საგადასახადო სარგებელი გამოითვლება 1-ლი წლის ბოლოს, ანუ T1-ში და ვინაიდან გადასახადს იხდიან ერთი წლის გასვლის შემდეგ (წლის ბოლოს), ფულადი ნაკადების მიღების პერიოდი იქნება ერთი წლით გვიან, ანუ T2-ში.

საბოლოო ჯამში, პასუხის გაცემის თქვენი მეთოდით გამოცდაზე დროს დაგიზოგავთ და რიცხვების გამარტივებით ცოტა შეცდომას დაუშვებთ. აქ რიცხვები დამრგვალებულია ათას ერთეულებში, მეათედის სიზუსტით.

კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ მათ შეუძლიათ საგადასახადო სარგებლის გამოთვლა დაბეგვრის სხვადასხვა რეჟიმში. მაგალითად, შემდეგ პრობლემას, რომელსაც თქვენ შეიძლება წააწყდეთ, შეიძლება ჰქონდეს გამოსაქვითი ცვეთის მოთხოვნის უფლება წრფივი მეთოდით და გადასახადი შეიძლება გადასახდელი იყოს მაშინვე, თითოეული წლის ბოლოს.

მე-3 განგარიშება – საბრუნავი კაპიტალი

1-ლი წელი –	რეალი- ზაცია \$'000:	საბრუნავი კაპიტა- ლის მოთხოვნილება, ამონაგების 10%:	საბრუნავი კაპიტალის ფუ- ლადი ნაკადი:	პერი- ოდი
1-ლი წელი – 30 x \$4.4 =	132.0	13.2	(13.2)	T0
მე-2 წელი – 30 x \$4.4 x 1.03 =	136.0	13.6	(0.4)	T1
მე-3 წელი – 25 x \$4.4 x 1.032	116.7	11.7	1.9	T2
მე-4 წელი – 20 x \$4.4 x 1.033	96.2	9.6	2.1	T3
			9.6	T4

შენიშვნები:

ვინაიდან საბრუნავ კაპიტალში განხორციელებული ინვესტიცია რეალიზაციიდან მისაღებ (მოსალოდნელ) ამონაგებს ეყრდნობა, პირველ რიგში, ეს ციფრი უნდა გამოვითვალოთ. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება, როგორ არის მოცემული პროდუქციის ერთეულის ფა-სი პირველი წლისთვის და მაშასადამე, ეს ციფრი უნდა გამოიყენოთ 1-ლი წლისთვის. მომდევნო წლებში ინფლაციის პროგნოზი უნდა გაითვალისწინოთ. ასევე ყურადღება მიაქციეთ ინფლაციის კუმულაციურ (დაგროვებად) ბუნებას.

საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნილება მარტივად გამოითვლება, ამონაგების მიმართ დადგენილი პროცენტის სახით. როდესაც გამოითვლით საბრუნავი კაპიტალის ფულად ნაკადებს, თვითონ საბრუნავ კაპიტალს კი არ გამოვიყენებთ, არამედ საბრუნავი კაპიტა-ლის საჭირო ცვლილებას, რადგან, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ეს იქნება ფულადი ნაკადი.

ამგვარად, 1-ლი წლის მოთხოვნილება შეადგენს 13.2-ს და ვინაიდან ადრე საბრუნავ კაპიტალში არანაირი ინვესტიცია არ განხორციელებულა, ფულადი ნაკადი იქნება 13.2 ფულადი ნაკადის გასვლა.

მე-2 წლის მოთხოვნილება გაიზარდა 13.6-მდე, მაგრამ იმის გამო, რომ 13.2 უკვე ინ-ვესტირებული იყო, ფულადი ნაკადი არის 0.4, ფულადი ნაკადის გასვლა – საბრუნავი კაპიტალის მოთხოვნილების ზრდა.

მე-3 და მე-4 წლებში მოთხოვნილება ეცემა და, მაშასადამე, წარმოიქმნება ფულადი ნა-კადის შემოსვლა კომპანიაში.

ვინაიდან საბრუნავი კაპიტალი პროექტისთვის საჭიროა ყოველი წლის დასაწყისში, 1-ლი წლის ფულადი ნაკადი წარმოიქმნება T0 მომენტში, ხოლო მე-2 წლის ფულადი ნაკადი – T1 მომენტში და ა.შ. საბოლოოდ, პროექტის ბოლოს საბრუნავ კაპიტალში რაიმე წარჩენი ინვესტიციის ჩადება აღარ მოითხოვება და წარმოიქმნება დამატებითი ფულადი ნაკადების შემოსვლა კომპანიაში T4 მომენტში. საბრუნავი კაპიტალის ფულადი ნაკადების სვეტის ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს, ვინაიდან ყველაფერი, რაც ინვესტირებული იყო, საბო-ლოოდ რეალიზდება და გარდაიქმნება ფულად სახსრებად.

სხვა პოტენციური გაანგარიშებები.

პრინციპში, შესაძლებელია, რომ ცვლადი და მუდმივი დანახარჯებისთვის ცალ-ცალკე წარმოადგინოთ გაანგარიშებები. თუმცა, ამას შეიძლება ბევრი დროს დასჭირდეს. გონივრული იქნება, თუ დროს დაზოგავთ და ამ გაანგარიშებებს ჩართავთ ფულადი ნაკადების ცხრილში, როგორც წესი, ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რათა გამოცდაზე შემფასებელმა კარგად დაინახოს თქვენი აზროვნების ლოგიკა.

პროექტის საწყისი კვლევის დანახარჯი \$12,000 უგულებელყოფილია, ვინაიდან ის უკვე დაიხარჯა. მაშასადამე, ეს არის დაუბრუნებელი დანახარჯები და რელევანტური არ არის მომავალი პროექტის ანალიზში გამოსაყენებლად.

შეფასების შედეგად მივიღეთ, რომ პროექტს აქვს დადებითი წმინდა მიმდინარე ღირებულება \$88,300; მაშასადამე, ეს პროექტი კომპანიისთვის მისაღებია, ვინაიდან გაზრდის აქციონერთა კეთილდღეობას (სიმდიდრეს).

შენიშვნები:

1. ფულადი ნაკადების ცხრილი ყოველთვის ახალ გვერდზე უნდა დაიწყოთ, რადგან მაშინ, სავარაუდოდ, ერთ გვერდზე დაეტევა. ამით თავიდან აიცილებთ მონაცემების მეორე გვერდზე გადატანის საჭიროებას, რასაც ხშირად შეცდომები მოჰყვება. ვინაიდან გადასახადი ყოველი წლის ბოლოს გადაიხდება, ფულადი ნაკადების ცხრილის ბოლო სვეტი T5-ია, მიუხედავად იმისა, რომ პროექტი ოთხწლიანია. ფულადი ნაკადების ცხრილი უნდა გაიყოს „ამონაგების“ განყოფილებად და „კაპიტალის“ განყოფილებად. „ამონაგების“ განყოფილებაში ნაჩვენებია ყველა დასაბეგრი ამონაგები და საგადასახადო მიზნებისთვის გამოსაქვითი ცვეთის დანახარჯები. „კაპიტალის“ განყოფილებაში ნაჩვენებია ყველა ფულადი ნაკადი, რომელიც დაკავშირებულია შეძენილ აქტივთან და ასევე სხვა ფულადი ნაკადები, რომლებიც გავლენას არ ახდენს გადასახადზე. კანდიდატები უნდა დარწმუნდნენ, რომ ფრჩხილებში ჩასვეს უარყოფითი ფულადი ნაკადები, თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება შეეშალოთ და ფულადი ნაკადების დაჯამებისას შეიძლება უარყოფითი მუხლები დადებითად მიიჩნიოთ;
2. წლიური ამონაგების ციფრები გადმოტანილია მე-3 გაანგარიშებიდან. **მიაქციეთ ყურადღება:** ჩვეულებრივი დაშვებაა, რომ წლიური ამონაგები წარმოიქმნება წლის ბოლოს – მაშასადამე, 1-ლი წლის ამონაგები ნაჩვენებია T1 მომენტისთვის. ეს დაშვება ეხება ასევე ცვლად და მუდმივ დანახარჯებსაც.
3. თითოეული წლის ცვლადი დანახარჯები ეყრდნობა მოცემული წლის რეალიზაციის ერთეულებს, პროდუქციის ერთეულის ფასსა და დანახარჯების ინფლაციის დონეებს. **მიაქციეთ ყურადღება:** ვინაიდან დანახარჯი მიმდინარე ფასებშია გამოსახული, რაც შეესაბამება T0 მომენტს, ხოლო პირველი დანახარჯები აისახება T1 მომენტისთვის, ინფლაცია მაშინვე უნდა გაითვალისწინოთ. თქვენ ეს უნდა შეუდაროთ ამონაგების ინფლაციას, რომელიც მოცემულია მე-3 გაანგარიშებაში.
4. მუდმივი დანახარჯები პროექტის ანალიზისთვის რელევანტურია, რადგან როგორც ნათქვამია სცენარში, ზრდადი სიდიდეა. 1-ლი წლისთვის ერთეულის დანახარჯი მოცემულია და ეს ციფრი მრავლდება 1-ლი წლის პროგნოზირებულ რეალიზაციაზე, რათა ვიპოვოთ მთლიანი დამატებითი მუდმივი დანახარჯები. ანალოგიურად, მოცემულია პროდუქციის ერთეულის ცვლადი დანახარჯი მიმდინარე ფასებში და, მაშასადამე, მაშინვე უნდა გავითვალისწინოთ ინფლაციის დონე. 1-ლი წლიდან დაწყებული მუდმივი დანახარჯების განევა გრძელდება და იზრდება შესაბამისი ინფლაციის დონით, კერძოდ, 5%-ით. **უნდა გახსოვდეთ,** რომ მუდმივი დანახარჯები მუდმივია და არ იცვლება, საქმიანობის დონის ცვლილების შესაბამისად. ამით თავიდან აიცილებთ ტიპური შეცდომის დაშვებას, როდესაც კანდიდატები მუდმივ დანახარჯებს ისე იყენებენ გამოთვლებში, თითქოს ცვლადი დანახარჯები იყოს.

5. გადასახადი გამოითვლება წმინდა ამონაგების ფულადი ნაკადების მიმართ 30%-იანი განაკვეთით. ვინაიდან გადასახადი წლის ბოლოს გადაიხდება, 1-ლი წლის გადასახადი, რომელიც გამოითვლება 1-ლი წლის ბოლოს, ანუ T1 მომენტში, გახდება ფულადი ნაკადი T2 მომენტში. ანალოგიურად უნდა იმსჯელოთ მომდევნო წლებზეც.
6. ნარჩენი ღირებულება მოცემული იყო ნომინალურ (ფულად) ღირებულებაში და, მაშასადამე, უკვე ასახავს ინფლაციის გავლენას. ნარჩენი ღირებულება მიმდინარე ფასებში რომ ყოფილიყო მოცემული და სცენარში არ გვქონოდა მოცემული სპეციფიკური ინფლაციის დონე, მაშინ ლოგიკური მიდგომა იქნებოდა მისი კორექტირება საერთო ინფლაციის დონის მაჩვენებლით. ჩვეულებრივ დაშვებას წარმოადგენს ის, რომ აქტივის გაყიდვა თითქოს ხდება პროექტის ბოლო წლის ბოლო დღეს და, მაშასადამე, ფულადი ნაკადის შემოსვლა ნაჩვენებია T4 მომენტში.
7. საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვადი ცვეთით განპირობებული საგადასახადო სარგებლის ციფრი გადმოტანილია მე-2 გაანგარიშებიდან. გთხოვთ ყურადღებით იყოთ, რათა ეს ციფრი არჩენოთ შესაფერის სვეტში, მათი შესაფერისი პერიოდის (მომენტის) გათვალისწინებით. ასევე უნდა გახსოვდეთ, რომ ეს არის გადასახადთან დაკავშირებული „კარგი“ მომენტი და ასე, რომ წარმოიქმნება ფულადი ნაკადის შემოსვლა კომპანიაში.
8. საბრუნავი კაპიტალის ფულადი ნაკადები გადმოტანილია მე-3 გაანგარიშებიდან. ეს ციფრები ნაჩვენებია „კაპიტალის“ განყოფილებაში, ვინაიდან ისინი გავლენას არ ახდენს გადასახადზე. თუ ამ ციფრებს „ამონაგების“ განყოფილებაში შევიტანდით, მათი მიზეზით შეიცვლებოდა წმინდა ამონაგების ფულადი ნაკადები და ეს გავლენას იქონიებდა გადასახადის გამოთვლაზე, რაც სწორი არ იქნებოდა.
9. დისკონტირების კოეფიციენტის მოძებნა შესაძლებელია ცხრილებში (რომელიც მოცემული გექნებათ გამოცდაზე). 1-ელ გაანგარიშებაში გამოთვლილი კაპიტალის ნომინალური ღირებულებისთვის შესაფერისია 12%-იანი დისკონტირების განაკვეთი.
10. მიმდინარე ღირებულებას გამოვითვლით მთლიანი წმინდა ნომინალური ფულადი ნაკადების გამრავლებით ნაჩვენებ დისკონტირების კოეფიციენტებზე.
11. წმინდა მიმდინარე ღირებულების ციფრს მარტივად მივიღებთ გამოთვლილი მიმდინარე ღირებულებების შეკრებით. თქვენ ყოველთვის კომენტარი უნდა გაუკეთოთ ასევე იმას, გამოთვლილი წმინდა მიმდინარე ღირებულებების მნიშვნელობებიდან, რომელი მიგვანიშნებს პროექტის სიცოცხლისუნარიანობაზე.

ფულადი ნაკადების ცხრილი

	\$'000	შენიშვნა:	T0	T1	T2	T3	T4	T5
ამონაგები		1						
ამონაგები რეალიზაციიდან		2		132.0	136.0	116.7	96.2	
ცვლადი დანახარჯები		3						
30 x \$0.70 x 1.05				(22.1)				
30 x \$0.70 x 1.052					(23.2)			
25 x \$0.70 x 1.053						(20.3)		
20 x \$0.70 x 1.054							(17.0)	

მუდმივი დანახარჯები:	4						
30 x \$0.30 x 1.05			(9.5)	(9.9)	(10.4)	(10.9)	
წმინდა ამონაგების ფულადი ნაკადი			100.4	102.9	86.0	68.3	
გადასახადი 30% განაკვეთით	5			(30.1)	(30.9)	(25.8)	(20.5)
კაპიტალი							
აქტივის ღირებულება/ნარჩენი ღირებულება	6	(160.0)				40.0	
საგადასახადო მიზნებისთვის გამოქვითვადი (ცვეთით განპირობებული სარგებელი	7			12.0	9.0	6.8	8.3
საბრუნავი კაპიტალი (ფულადი ნაკადი)	8	(13.2)	(0.4)	1.9	2.1	9.6	–
მთლიანი ფულადი ნაკადები		(173.2)	100.0	86.7	66.2	98.9	(12.2)
დისკონტირების კოეფიციენტები 12%-ის განაკვეთის	9	1	0.893	0.797	0.712	0.636	0.567
მიმდინარე ღირებულებები/დისკონტირებული	10	(173.2)	89.3	69.1	47.1	62.9	(6.9)
სულ წმინდა მიმდინარე ღირებულება	11	88.3					

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, ჩვენ განვიხილეთ საკმაოდ კომპლექსური მაგალითი, რომელიც მოიცავს ყველა ძირითად პოტენციურ პრობლემას, რომელიც შეიძლება გამოცდაზე შეგხვდეთ. ჩემი აზრით, ასე რთული არ იქნება რომელიმე საგამოცდო კითხვა, მაგრამ ჩვენ მიერ განხილულ მაგალითში ნაჩვენები ყველა პრობლემა გათვალისწინებული იყო წინა წლების გამოცდების დროს და ვიმედოვნებ, მომავალშიც იქნება შეტანილი საგამოცდო მასალაში. გამოცდას წარმატებით ჩააბარებენ ის კანდიდატები, რომლებიც გამოცდებზე ამ საკითხებს თავს გაართმევენ.

თავდაპირველად ვილიამ პაროტის მიერ დაწერილი
სტატიის ადაპტირებული ვერსია მოამზადა
„ფინანსური მართვის“ მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა

ბუღალტრების ეთიკა ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

მოდული „სტრატეგიული ბიზნესლიდერი“

ამ სტატიაში განვიხილავთ სხვადასხვა ეთიკურ საფრთხეს, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეს ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მომუშავე თანამედროვე ბუღალტერი და განვიხილავთ ამ საფრთხეების აღმოფხვრის გზებს.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბუღალტრებს მხოლოდ პროფესიულ კომპეტენცია არ მოეთხოვებათ, რადგან მათი ქმედებები ხელს უწყობს ორგანიზაციების მორალური და ეთიკური კულტურის დამკვიდრებასა და განვითარებას. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური გახდა უკანასკნელ პერიოდში, როდესაც ბუღალტრებს მუშაობა უწევთ ახალი ციფრული ტექნოლოგიების გარემოში, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს და შეცვალოს დღემდე დამკვიდრებული ეთიკური მოსაზრებები.

ეთიკური დილემები ადვილად არ გვარდება, რადგან ეთიკური დილემის გადაჭრა ხშირად დაკავშირებულია სხვადასხვა პოზიციასა და არჩევანთან. ხშირად არსებობს განსხვავებული ეთიკური და მორალური მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს გარემოს, სიმდიდრის განაწილებას და პირად ურთიერთობებს. შესაბამისად, ბუღალტრები ხშირად აწყდებიან მრავალნაირ ეთიკური დილემას და მათი ამოცნობა და გადაჭრა პროფესიონალი ბუღალტრის სამუშაოს მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ პრობლემებიდან ზოგიერთის მოგვარება შესაძლებელია, თუ ბუღალტერი რეგულარულად ურთიერთქმედებს სხვებთან, რადგან ამგვარ ურთიერთქმედებას შეუძლია ბუღალტრის ეთიკური აზროვნების გაუმჯობესება იმით, რომ ბუღალტერი შეძლებს პრობლემის სხვადასხვა ქრილში, სხვადასხვა პოზიციიდან დანახვას. ბუღალტრის საბოლოო გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე შეიძლება გავლენა იქონიოს კულტურამ და სოციალურმა ნორმებმა.

ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში მტკიცე ეთიკური პრინციპები და ქცევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არსებობს საფრთხეების გაზრდის შესაძლებლობა. ბესს-ის პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის მიხედვით, ეთიკური ქცევის მიმართ შექმნილი პოტენციური საფრთხეები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- პირადი ანგარების საფრთხე – საფრთხე იმისა, რომ ფინანსური ან სხვა სახის ინტერესი მიზანშეუწონელ გავლენას იქონიებს პროფესიონალი ბუღალტრის განსჯაზე/მოსაზრებებზე, ან საქციელზე;
- ფამილიარული ურთიერთობის საფრთხე – საფრთხე იმისა, რომ დამკვეთთან ან დამქირავებელთან ხანგრძლივი ან ახლო ურთიერთობის გამო, პროფესიონალი ბუღალტერი ზედმეტად თანაუგრძნობს მათ ინტერესებს, ან ზედმეტად შემწყნარებელი ხდება მათი სამუშაოს მიმართ;
- შანტაჟის საფრთხე – საფრთხე იმისა, რომ პროფესიონალ ბუღალტერს ხელი შეეშლება ობიექტურ მოქმედებაში, ფაქტობრივი ან მოსალოდნელი გაცნობიერებული მუქარის, მათ შორის პროფესიონალ ბუღალტერზე მიზანშეუწონელი ზემოქმედების მცდელობის გამო;
- თავდაჯერებულობის საფრთხე – საფრთხე იმისა, რომ პროფესიონალი ბუღალტერი სათანადოდ არ შეაფასებს ადრინდელი გადაწყვეტილების ან სამუშაოს, ან მომსახურების შედეგებს, რომელიც თვითონ შეასრულა, ან იმ ფირმის, ან დამქირავებელი ორგანიზაციის სხვა თანამშრომელმა, სადაც მუშაობს და მას დაეყრდნობა მიმდინარე საქმიანობის, ან მიმდინარე მომსახურების განევის პროცესში მსჯელობის/გადაწყვეტილების მიღების დროს;
- არალეგალური დაცვის საფრთხე – საფრთხე იმისა, რომ პროფესიონალი ბუღალტერი იმ დონეზე დაიცავს დამკვეთის, ან დამქირავებლის პოზიციას, რომ პროფესიონალი ბუღალტრის ობიექტურობას ზიანი მიადგება.

თანამედროვე ბუღალტერს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ეს პრობლემები, რათა შეძლოს ახალ ციფრულ სცენარებთან გამკლავება. ამაში იგულისხმება კიბერუსაფრთხოება, პლატფორმაზე დაფუძნებული ბიზნესმოდელები, დიდი მოცულობის მონაცემებთან მუშაობა და მათი ანალიზი, კრიპტოვალუტები, განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიები (DLT) და ხელოვნური ინტელექტი (AI). ეთიკური ქცევა ხელს უწყობს ნდობის გამყარებას. დიდი ალბათობით, მოსალოდნელია, რომ დაინტერესებული მხარეები ძველებურად გააგრძელებენ ნდობას ბუღალტრების მიმართ, თუ დარწმუნებული იქნებიან, რომ ბუღალტერი ყოველთვის ეთიკურად იმოქმედებს.

ციფრული ტექნოლოგიების განვითარების გამო, სავარაუდოდ, კომპრომეტირებული იქნება პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების ეთიკური პრინციპი. მოსალოდნელია, რომ წარმოიქმნება ახალი ეთიკური პრობლემები, ვინაიდან ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში შეიძლება თავი იჩინოს ახალმა პრობლემებმა, რომლებიც ადრე არ არსებობდა. ბუღალტერმა სიღრმისეულად უნდა გაიაზროს სიტუაცია და მისი კონტექსტი, სანამ შეძლებს მოქმედებას. ამ სფეროში ცოდნისა და გამოცდილების უქონლობა საფრთხეს შეუქმნის პროფესიული კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების ეთიკური პრინციპის დაცვას. ძნელია ეთიკური გადაწყვეტილებები გამოიტანო, ციფრული ტექნოლოგიის გამოყენების შესახებ, თუ კარგად არ გესმის, რა არის ეს და რა შესაძლებლობებსა და პრობლემებს წარმოქმნის.

იმისათვის, რომ ეთიკურად მოიქცნენ და ნდობა დაიმსახურონ, პროფესიონალმა ბუღალტრებმა, შეძლებისდაგვარად, სწრაფად უნდა შეისწავლონ ახალი ინფორმაცია და კარგად გაიაზრონ, განსაკუთრებით და უფრო ხშირად ისეთ სიტუაციებში, რომლებიც აქამდე არ შეხვედრიათ. გარდა იმისა, რომ ბუღალტრები უშუალოდ იქნებიან დაკავშირებული საკუთარ თავზე, პირადად გამოცდილ ეთიკურ სიტუაციებთან, შესაძლებელია, რომ არაპირდაპირი გზითაც აღმოჩნდნენ დაკავშირებული ეთიკურ სიტუაციებთან, დამკვერვების როლში. ასეთ სიტუაციებშიც კი ბუღალტრის ეთიკური პასუხისმგებლობა არანაირად არ მცირდება.

მონაცემთა ქურდობა – ეს არის კიბერუსაფრთხოების კანონდარღვევის ყველაზე გავრცელებული ზემოქმედება. ორგანიზაციები უამრავ მნიშვნელოვან მონაცემს ინახავენ სხვადასხვა სისტემაში. მონაცემები შეიძლება იყოს შიდა (მაგ., თანამშრომელთან დაკავშირებული) ან გარე (მაგ., მომხმარებლებთან დაკავშირებული). მონაცემთა ქურდობას შეიძლება მოჰყვეს ფინანსური ზარალი და ორგანიზაციის რეპუტაციის/ბრენდის შელახვა. ჰაკერებს შეუძლიათ დაუცველ მონაცემთა ბაზაში დაუცველი ინფორმაციის გამოვლენა და მოპარვა.

მართალია, საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოება ტექნოლოგიური საკითხია, მაგრამ ბუღალტერი არის კონფიდენციალური მონაცემების დამცველი და მას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს შესაბამისი რისკები. რისკი იმისა, რომ მისი ობიექტურობა შეიძლება კომპრომეტირებული იყოს, წარმოიშობა ჰაკერების მუქარის შედეგად, რომ მონაცემებს არასწორად გამოიყენებენ ან გაანადგურებენ. გარდა ამისა, ბუღალტერი დაარღვევს კონფიდენციალობის ეთიკურ ვალდებულებასაც, რომელიც შეიძლება ეხებოდეს მომხმარებლების ან თანამშრომლების მონაცემებს. პროფესიონალმა ბუღალტრებმა უნდა იცოდნენ, სად ინახება გარე მხარეებისთვის ღირებული ინფორმაცია და უნდა უზრუნველყონ მათი უსაფრთხოება შიდა კონტროლის მექანიზმებით.

მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის რეგულირების მნიშვნელობაც იზრდება და ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ამ საქმეში ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარის ჩართულობა. ბუღალტერი ვალდებულია, კარგად ერკვეოდეს სათანადო ნორმატიულ აქტებში და იცავდეს მათ. თუ მომხმარებლების მონაცემები არასწორად იქნა გამოყენებული, ბუღალტერი შეიძლება დაადანაშაულონ იმაში, რომ მან არ შეასრულა პატიოსნების, კომპეტენციისა და სათანადო გულისხმიერების ეთიკური პრინციპები. ორგანიზაცია კეთილსინდისიერებას უნდა იჩენდეს სხვა მხარეთა ინფორმაციის მიმართ და

ისე იყენებდეს ამ ინფორმაციას, როგორც შეათანხმა მომხმარებელთან მისი გამოყენების წესი და საზღვრები და ზიანი არ უნდა მიაყენოს მომხმარებელთა კონფიდენციალობას.

ბუღალტრის დასჭირდება მაღალი ეთიკური ცნობიერება, როდესაც საქმე ეხება იმის განხილვას, რა ზომებს უნდა მიმართოს, როდესაც ირღვევა უსაფრთხოება საკუთარ ორგანიზაციაში, ან იმ ორგანიზაციაში, რომელსაც ისინი კონსულტაციებს უწევენ. იმის გათვალისწინებით, რომ ბუღალტერი ვალდებულია იმოქმედოს საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება აუცილებელი გახდეს ინფორმაციის გამჟღავნება, მაგალითად მომხმარებლების ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მათი პირადი ინფორმაცია გამოამჟღავნებულა.

პლატფორმაზე დაფუძნებული ბიზნესი ღირებულებას ქმნის მომხმარებლებისა და მწარმოებლების გაერთიანებით/ერთმანეთთან დაკავშირებით, ამის მაგალითებია Airbnb, Uber, Google, Facebook, YouTube, eBay და Alibaba და სხვა კომპანიები. ამგვარ კომპანიებს მინიმალური დონის ფიზიკური აქტივები აქვთ, ან მინიმალური დონის საკუთარი მარაგები გასაყიდად და, ამასთან, გასაფართოებლად არ სჭირდებათ თანამშრომლების რაოდენობის გაზრდა. მათ უბრალოდ უნდა შექმნან მომხმარებელთა მნიშვნელოვანი ბაზა და დააკავშირონ ისინი სანდო სპეციფიკური მომწოდებლების სიასთან, მომსახურების განწევის მიზნით. პირებთან, რომელთა მომსახურებასაც ეს კომპანიები გვთავაზობენ, შეიძლება გაფორმდეს ხელშეკრულება იმის თაობაზე, რომ მათ უნდა იმუშაონ კომპანიისთვის (მაგრამ არ იქნებიან თანამშრომლები) და ამგვარი სიტუაცია ხშირად ეჭვს ბადებს, თანამშრომელთა დაცვისა და კორპორაციული მართვის საკითხებთან დაკავშირებით. ბუღალტრის შესაძლოა დასჭირდეს იმის შეფასება, მომწოდებელს უსამართლოდ ხომ არ ექცევა კომპანია, მაგალითად რეალურად ისინი თანამშრომლები არიან თუ არა და აქვთ თუ არა მათ გარკვეული უფლებები, როგორც თანამშრომლებს, თუ მომწოდებლები არიან ამგვარი იურიდიული უფლებების გარეშე. დაინტერესებულ მხარეებთან უსამართლო მოპყრობის აღკვეთა ბუღალტრის ამოცანაა. ამგვარ სცენარში აუცილებელია, რომ კომპანიის კომერციული ინტერესები დაბალანსდეს მომწოდებლებისა და მომხმარებლების ინტერესებთან.

განაწილებული რეესტრის ტექნოლოგია (DLT) არის ციფრული სისტემა, რომლის მეშვეობით შესაძლებელია აქტივებით განხორციელებული ოპერაციების/ტრანზაქციების აღრიცხვა, ხოლო ტრანზაქციები და მათი დეტალები ჩაინერება ერთდროულად მრავალ ადგილას. ეს არის ჩანაწერების/მონაცემების ციფრული მონაცემთა ბაზა, რომლებიც ეხება მონაწილეთა ჯგუფს. ტრადიციული მონაცემთა ბაზებისგან განსხვავებით, განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიურ სისტემას არა აქვს მონაცემთა ცენტრალური საცავი ან ადმინისტრირების ფუნქცია. ყველა მონაწილეს შეუძლია ჩანაწერების საერთო, გაზიარებული სურათის დანახვა, რომელიც ერთდროულად განახლდება ყველა მონაწილისთვის.

მაგალითად, დიდ ბრიტანეთში მიწის კადასტრი ვარაუდობს განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიის გამოყენებას მიწისა და ქონების ყიდვა-გაყიდვის რეგისტრაციის პროცესში რეგულაციის მოსახდენად. ასეთი სისტემის საიმედოობას უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება, ისევე როგორც იმის უზრუნველყოფას, რომ მოქალაქეების კონფიდენციალური მონაცემები არ აღმოჩნდეს რისკის ქვეშ. ასეთი სისტემა გავლენას მოახდენს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილზე და შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ეკონომიკური შედეგები, თუ სისტემა მწყობრიდან გამოვა ან ხარვეზებით იმუშავებს. თავის მხრივ, ამან შეიძლება ეთიკური პრობლემები გამოიწვიოს სახელმწიფო სექტორში მომუშავე ბუღალტრებისა და აუდიტორებისთვის. ამიტომ ბუღალტრებს დასჭირდებათ განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიების ცოდნა და უნდა შეეძლოთ ჰაკერებისა და მონაცემებზე სხვა მხარეთა არასანქცირებულ წვდომასთან დაკავშირებული რისკების შეფასება. პროფესიონალი ბუღალტრები გულწრფელები უნდა იყვნენ თავის თავთან იმასთან დაკავშირებით, კმაყოფილები არიან თუ არ თავისი ცოდნით განაწილებული რეესტრის ტექნოლოგიების სფეროში და, მაშასადამე, შეიძლება მათ მოუწიოთ საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება, როდესაც საქმე ეხება დიდი მოცულობის კონფიდენციალურ ინფორმაციასთან.

დიდი მოცულობის მონაცემებისა და ხელოვნური ინტელექტის მზარდი გამოყენების მეშვეობით, შესაძლებელია უფრო სწრაფი, თანმიმდევრული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული და სწორი გადაწყვეტილებების მიღება. ხელოვნური ინტელექტი უნდა იყოს კანონიერი, ეთიკური და საიმედო.

თუმცა, ხელოვნური ინტელექტის მახასიათებლები კითხვებს ბადებს ახალი ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენებასთან დაკავშირებით. ხელოვნური ინტელექტი და მანქანური სწავლების ტექნოლოგიები სწრაფად ცვლის საზოგადოებას და თითქმის აუცილებლად ასე გაგრძელდება უახლოეს ათწლეულებში. ამგვარ სოციალურ ტრანსფორმაციას სერიოზული ეთიკური შედეგები მოჰყვება, ეს მძლავრი ახალი ტექნოლოგიები ერთდროულად აუმჯობესებს და ანგრევს ადამიანთა ცხოვრებას.

ბუღალტერმა უნდა გააანალიზოს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული მართვისა და გარანტიების საკითხები, რათა ყველა დაინტერესებული მხარე ენდობოდეს ამ ტექნოლოგიების სათანადოდ გამოყენებას. ბუღალტერი შეიძლება აღმოჩნდეს შემდეგი ეთიკური პრობლემების პირისპირ:

- ხელოვნური ინტელექტი, ადამიანური ინტელექტის მსგავსად, შეიძლება ბოროტად იქნეს გამოყენებული;
- სისტემაში არსებობს სისტემატური შეცდომების არსებობის რისკები, რომლებიც წარმოიქმნება სრულიად მოულოდნელი და პოტენციურად საზიანო გზებით;
- ხელოვნური ინტელექტი დასაქმებულთა გარკვეული კატეგორიისთვის საფრთხე იქნება;
- ჩნდება სისტემის ტექნიკური უსაფრთხოებისა და გაუმართაობის/მისი მუშაობის ჩაშლის/გაჩერების პრობლემა.

ეთიკური პრინციპები, რომლებსაც ეთიკის კოდექსები ეყრდნობა, ისევ უაღრესად აქტუალური და მნიშვნელოვანი დარჩება, დიდი მოცულობის მონაცემებისა და ხელოვნური ინტელექტის ფონზეც. მეორე მხრივ, მართალია, ეთიკური პრინციპების შეცვლის აუცილებლობა არ არსებობს, მაგრამ მათი დაცვა, სავარაუდოდ, უფრო გაძნელდება. პრობლემას წარმოადგენს მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებული სახელშეკრულებო პირობების არასწორად გაგება.

დასასრულ, სულ უფრო იზრდება ისეთი სიტუაციებისა და გარემოებების სია, რომლებმაც შესაძლოა კონფიდენციალურობის დარღვევა გამოიწვიოს, რის გამოც ამგვარი გარემოებები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. თუმცა, ეთიკის ძირითადი პრინციპებისა და მათი დაცვის მნიშვნელობა ისევ აქტუალური რჩება. ხელოვნური ინტელექტის გამოყენებამ შეიძლება თავიდან აგვაცილოს ზოგიერთი ეთიკური საფრთხე, მაგალითად შანტაჟის, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება გაართულოს ეთიკური პრინციპების დაცვის დემონსტრირების შესაძლებლობა.

ეთიკური პრობლემების მოგვარების მრავალი გზა არსებობს და ერთ-ერთი ასეთი გზა აღწერილია ქვემოთ:

- ბუღალტერმა უნდა განსაზღვროს გადაწყვეტილების ხასიათი, რომელიც უნდა მიიღოს ეთიკური დილემის კონტექსტის განსაზღვრით;
- ბუღალტერმა უნდა განსაზღვროს, ვის უფლებებსა და ინტერესებზე ახდენს გავლენას ეს გადაწყვეტილება;

- ბუღალტერმა უნდა დაადგინოს პროფესიული პრაქტიკის წესები, შიდა და გარე მართვის კოდექსები და შესაბამისი კანონები;
- ბუღალტერმა უნდა ჩამოაყალიბოს და გაითვალისწინოს ამა თუ იმ პოტენციური კონკრეტული ქმედების მომხრე და სანიშნაურობა არგუმენტები;
- ბუღალტერმა უნდა ჩამოაყალიბოს გადაწყვეტილება, რომელიც დაასაბუთებს გასათარებელი ზომების მომხრე და სანიშნაურობა არგუმენტებს;
- ბუღალტერმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი ქმედების განხორციელების ან არგანხორციელების ყველანაირი უარყოფითი შედეგი.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება კიდევ შეიცვალოს გარემო, რომელშიც ბუღალტერი მუშაობს და გაცილებით მეტად ციფრული გახდეს, ამ შემთხვევაშიც ძირითადი ეთიკური მოვალეობები და ვალდებულებები უცვლელი რჩება. თუმცა, შეიძლება თავი იჩინოს ახალმა პრობლემებმა, რომლებიც ბუღალტერმა კარგად უნდა გაიაზროს, თუ აღმოჩნდება ციფრული ტექნოლოგიებით გამოწვეული ეთიკური დილემის წინაშე. ეს საკითხები უკვე განვიხილეთ მოკლედ, სტატიისთვის შესაფერისი ზღვრების ფარგლებში და სტრატეგიული ბიზნესლიდერის მოდულის გამოცდაზე გამსვლელმა კანდიდატებმა, გამოცდისთვის/თავიანთი პროფესიული კარიერისთვის მზადების პროცესში ნათელი წარმოდგენა უნდა შეიქმნან მათ შესახებ.

*სტატია მოამზადა სტრატეგიული ბიზნესლიდერის
მოდულის საგამოცდო კომისიის წევრმა, ჟურნალი
„Student accountant“, 2019 წლის ნოემბერი*

სააღრიცხვო პრინციპი, რომელიც ხელს უშლის BITCOIN-ის ფართო აღიარებას



საბუღალტრო კომპანიები კორპორაციებს უშლიან კრიპტოვალუტის აქტივის სახით ფლობას მაშინ, როცა ვენჩორული კაპიტალის კომპანიებს რისკიან და ვოლატילურ პროექტებში ინვესტირების საშუალებას აძლევენ. MicroStrategy Inc. და ილონ მასკის Tesla Inc. ფლობენ Bitcoin-ს, თუმცა ისინი გამონაკლისს წარმოადგენენ. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ფინანსური მენეჯერების მხოლოდ 5% აპირებს წელს Bitcoin-ში ინვესტირებას.

ტრადიციული შეხედულებები ხელს უშლის Bitcoin-ისა და სხვა კრიპტოვალუტის უფრო ფართო ათვისებას, რადგან კომპანიები, რომლებიც ასეთ ციფრულ ვალუტებს ფლობენ, სააღრიცხვო რისკის მატარებლები არიან, სახელწოდებით – დიდი აქტივების ჩამოწერა.

ეს ხდება იმის მიუხედავად, რომ GAAP-ის სტანდარტების ფარგლებში არ არსებობს ოფიციალური ინსტრუქცია იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა აღირიცხებოდეს ციფრული აქტივები. ბუღალტრები ეყრდნობიან აუდიტორთა შორის

მიღწეულ ერთგვარ კონსენსუსს, რომ კრიპტოვალუტები არ მიიჩნევა ვალუტად ან ფინანსურ ინსტრუმენტად, არამედ – „განუსაზღვრელი სასიცოცხლო პერიოდის მქონე არამატერიალურ აქტივად“, რადგან მათ არ გააჩნიათ „ფიზიკური სახე“.

„ძირითადად, არამატერიალური აქტივები უკავშირდება კომპანიის ოპერაციებს – მარკეტინგს, მომხმარებელთან ურთიერთობას და ტექნოლოგიურ უნარებს“ – აცხადებს **ალენ ჰუანგი**, ფინანსური აღრიცხვის პროფესორი ჰონგ კონგის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში. – „Bitcoin-ის ასეთ აქტივად კლასიფიცირება, ცოტა არ იყოს, გადამეტებულია. თუმცა, ის აქ იმიტომ მოხვდა, რომ ბუღალტრები ცდილობენ კრიპტოვალუტა მოარგონ უკვე არსებულ კატეგორიებს და არამატერიალური აქტივის ღირებულებას მხოლოდ ერთი მიმართულებით – შემცირებისკენ შეუძლია ცვლილება.

თუკი კომპანიამ Bitcoin 60,000 აშშ დოლარად შეიძინა და მისი ღირებულება ფისკალური წლის ბოლოს 35,000 აშშ

დოლარი გახდა, მისი ინვესტიციები შესაბამისად ჩამოიწერება და გაუფასურდება. თუმცა, აღნიშნულის შებრუნებული სცენარის შემთხვევაში, ფინანსური დირექტორი ვერ ააფასებს თავის ინვესტიციებს იმ შემთხვევაში, თუ კრიპტოვალუტის ფასი 60,000 აშშ დოლარს დაუბრუნდება. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული აქტივის რეალიზაციის დროს.

აღნიშნული საკითხი წინა პლანზე წამოსწია მიმდინარე წლის თებერვალში Tesla-ს მიერ 1,5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების ინვესტიციამ Bitcoin-ში. ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან იმის მიხედვით, თუ ზუსტად როდის შეიძინა კომპანიამ აღნიშნული ვალუტა, შესაძლოა ივნისში მას ანგარიშში გაუფასურების ასახვა მოუწიოს. რომელი კომპანია ისურვებს მსგავსი თავის ტკივილის გაჩენას?

აქციების შემთხვევაში კი, რომლებიც ფინანსურ ინსტრუმენტებადაა კლა-

სიფიცირებული, მათი აფასება და ჩამოფასება ადვილადაა შესაძლებელი „სამართლიანი ღირებულების“ ცნების წყალობით. მაგალითისთვის, მარტში, ვენჩორულმა გიგანტმა SoftBank-მა 17,5 მილიარდი აშშ დოლარის წმინდა მოგება აჩვენა მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ფლობს ლისტინგში ახლად მოხვედრილი, სამხრეთ კორეული ონლაინ ვაჭრობის კომპანიის, Coupang Inc-ის წილის მესამედს.

ეს ცოტა არასამართლიანია. ხშირად მაღალხარჯიანი, რისკიანი ახალი პროექტები შესაძლოა ისეთივე რისკის მატარებელი იყოს, როგორიც 12 წლის ბიტკოინი. აღნიშნულ პროექტებს არამატერიალური აქტივის სტატუსი რომ ჰქონოდა, SoftBank და სხვა ვენჩორული კაპიტალის გიგანტები ვერ შეძლებდნენ მოგების აღიარებას წილების გასხვისებამდე.

წყარო: [accountingtoday.com](https://www.accountingtoday.com)


პანდემია ყოველ მათი ახალგაზრდას კარიერული არჩევანის შეცვლისკენ უბიძგებს

ACCA-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვა აჩვენებს, რომ Covid-19-ის პანდემია კარიერისადმი ახალი მიდგომებისა და ცვლილებების პერიოდია ახალგაზრდებისთვის.

გაერთიანებულ სამეფოში 16-24 წლის ასაკის 6 მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს. ACCA-მ 1,000 მათგანი გამოკითხა, რათა უკეთესად გაეგო მათი შეხედულებები სამსახურზე. მაშინ, როცა პანდემიამდე მხოლოდ 21%-ს უნდოდა გაჰყოლოდა პროფესიონალურ კარიერას, როგორიცაა, მაგალითად ბუღალტერი, აღნიშნული მაჩვენებელი ამჟამად 30%-მდეა გაზრდილი.

იძულებით „შვებულებაში“ ყოფნამ უკვე დასაქმებულ ადამიანებს მისცა შანსი, გადააფასონ საკუთარი მდგომარეობა და აიმაღლონ კვალიფიკაცია, მიზნად დაისახონ ახალი სამსახური.

გამოკითხულთა 40% ამბობს, რომ ფინანსური უსაფრთხოება სამსახურის ყველაზე მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ტრადიციული სპეციალობები ასეთ სამსახურებში დასაქმების შანსს ზრდის. გამოკითხულთა პოზიცია თანაბრად განაწილდა მათ შორის, ვინც აპირებს უნივერსიტეტში ჩაბარებას და მათ შორის, ვინც მიიჩნევს, რომ ეს მათთვის არ არის. ადამიანების რაოდენობა, რომელსაც



სურს სტაჟირება, ან მიზნად ისახავს ერთდროულად მუშაობას და სწავლას, ახლა ემთხვევა იმ ადამიანების რაოდენობას, ვინც აპირებს უნივერსიტეტში ჩაბარებას.

ACCA-ის დირექტორმა, **ჰელენ ბრენდმა**, განაცხადა: „კოვიდ-19-ით გამოწვეულმა კრიზისმა ბევრი აიძულა ახალი მიდგომები გამოეყენებინა კარიერული მისწრაფებისა და საკუთარი პროფესიული მომავლისთვის. ეს კვლევა აჩვენებს, თუ როგორ შეცვალა პანდემიამ მოლოდინი სამსახურთან დაკავშირებით და როგორ შეცვლის ეს ორგანიზაციებისა და დამსაქმებლების სტრატეგიას. ბუღალტერთა როლი ახლა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პროფესია იძლევა უსაფრთხო და მოქნილ კარიერაზე წვდომას ნებისმიერ ასაკში.

ახალი თაობისთვის სტრატეგიული ანგარიშგების უნარების შეძენა მნიშვნელოვან სასტარტო პოზიციას ქმნის კარიერაში წარმატების მისაღწევად და აჩვენებს, რომ აღნიშნულ დემოგრაფიულ ჯგუფს სჭირდება ახალი, ღირებული უნარების ათვისების და სწრაფი პროგრესის შესაძლებლობა; სამუშაო უსაფრთხოება; ბალანსი ცხოვრებასა და სამსახურს შორის.

ACCA-ის აქვს სამი ქეის სთადი (სასწავლო პროგრამა) იმ ადამიანების შესახებ, რომლებმაც ახლახან გადაწყვიტეს ფინანსების პროფესიონალის კარიერის

არჩევა და აღნიშნული ცვლილება პანდემიის პარალელურად განახორციელეს:

- 24 წლის კრისტინა პორეა ლონდონიდან, მზარეული იყო მოხუცთა თავშესაფარში. ის უვადო შვებულებაში 2020 წლის გაზაფხულში გაუშვეს. ცოტაოდენი დაგეგმვის შემდეგ, კრისტინამ გადაწყვიტა საბუღალტრო პროფესიის შესწავლა ACCA-ის პროგრამის ფარგლებში. ის ახლა ბუღალტრის თანაშემწედ მუშაობს იმავე კომპანიაში და აგრძელებს სწავლას. მან უკვე შეძლო საკუთარი სახსრებით პირველი უძრავი ქონების შეძენა;
- 37 წლის გაურავ კუმარი, მანჩესტერიდან სასტუმრო ინდუსტრიაში მუშაობდა და უვლიდა აპარტამენტებს, რომლებიც პანდემიის შედეგად სრულად დაიკეტა. უვადო შვებულებისას ის ACCA-ის პროგრამაში ჩაერთო. ამჟამად ის Barclays-ში მუშაობს და სწავლას აგრძელებს;
- 37 წლის ქრეიგ მაკლინი, გლაზგოდან, თითქმის 20 წლის განმავლობაში მცხოვრებლად მუშაობდა. კარიერული ცვლილების ძიებაში ის დასავლეთ შოტლანდიის უნივერსიტეტის ACCA-ის აკრედიტებული პროგრამის ფარგლებში სწავლობს. პარალელურად, ის ამავე უნივერსიტეტში ფინანსურ ადმინისტრატორად მუშაობს.

ჰელენ ბრანდი დასკვნის სახით დასძენს: „პანდემიამ შეცვალა შეხედულებები კარიერაზე და ამას ძალიან კარგად ვხედავთ ორგანიზაციის დასაქმების ფორუმზე, სადაც 43%-იანი ზრდა გვქონდა წლის განმავლობაში. ეს ჯერ არნახულ მოთხოვნას ადასტურებს და ვიმედოვნებთ, რომ ტენდენცია გაგრძელდება.“

წყარო: accaglobal.com

ვებგვერდი, 26/07/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020360

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) 206-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილის „35“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„35) სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული, სახელმწიფო ორგანოს ან/და მუნიციპალიტეტის მიერ უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონება, რომელიც გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში ან/და საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გასაწევად“;

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. დადგენილი საგადასახადო შეღავათი არ ვრცელდება პირის მიერ იჯარით, უზუფრუქტით, ქირით ან სხვა ამგვარი ფორმით სხვა პირისთვის გადაცემულ მიწის ნაკვეთზე (ან მის ნაწილზე) ან/და საწარმოს/ორგანიზაციის მიერ ამავე ფორმით გადაცემულ შენობა-ნაგებობებზე (ან მათ ნაწილზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც უძრავ ქონებას გადასცემს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და გადაცემული უძრავი ქონება გამოიყენება უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობაში ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გასაწევად“.

მუხლი 2

1. ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „35“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,
22 ივლისი 2021 წ.
N809-Vრს-Xმ

საქართველოს კანონი

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 24.06.2016, სარეგისტრაციო კოდი: 260000000.05.001.018170) მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ) „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 151 მუხლით გათვალისწინებული სავალდებულო სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში – შემდეგ მონაცემებს:

ზ.ა) კაპიტალში პირდაპირი ან არაპირდაპირი მნიშვნელოვანი მონაწილეობის შესახებ ინფორმაციას;

ზ.ბ) იმ ფასიანი ქაღალდების მფლობელების შესახებ ინფორმაციას, რომლებიც განსაკუთრებული კონტროლის შესაძლებლობას იძლევა, და ამ უფლების აღწერას;

ზ.გ) ხმის მიცემის უფლების განხორციელების შეზღუდვის (კერძოდ, გარკვეული პროცენტის ფასიანი ქაღალდების ან ხმის რაოდენობის მფლობელებისთვის ხმის მიცემის უფლების შეზღუდვის) შესახებ ინფორმაციას;

ზ.დ) მმართველობითი ორგანოს წევრთა დანიშვნასა და შეცვლასთან დაკავშირებულ წესებს, აგრეთვე წესდების ცვლილების შესახებ ინფორმაციას;

ზ.ე) მმართველობითი ორგანოს წევრთა უფლებამოსილებების შესახებ ინფორმაციას.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
2 აგვისტო 2021 წ.
N877-Vრს-Xმპ

ვებგვერდი, 04/08/2021
სარეგისტრაციო კოდი
200000000.05.001.020367

საქართველოს კანონი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №54, 12.10.2010, მუხ. 343) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-8 მუხლის მე-12 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) აქციონერის/პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება“;

2. მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მეწარმე ფიზიკურმა პირმა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში“;

3. 36-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მეწარმე ფიზიკურ პირად ითვლება:

ა) ინდივიდუალური მეწარმე – ფიზიკური პირი, თუ ის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, არის ინდივიდუალური მეწარმე;

ბ) ფიზიკური პირი, თუ ის ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობას“;

4. 98¹ მუხლის მე-2 ნაწილის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საწარმოს ლიკვიდაციისას ან აქციის/წილის გამოსყიდვისას ფულადი ან ნატურალური ფორმით განხორციელებული გადახდა/განაცემი, რომელიც კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) პარტნიორის მიერ განხორციელებული შენატანის ოდენობას არ აღემატება. ამ ქვეპუნქტის მიზნებისთვის ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ოპერაციის განხორციელების შემდეგ საწარმოს კაპიტალის გაზრდა არ მიიჩნევა პარტნიორის მიერ კაპიტალში (განთავსებულსა და საემისიოში) განხორციელებულ შენატანად“;

ბ) „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი და ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული პირისა) დივიდენდების განაწილება“;

5. 130-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირების (გარდა ინდივიდუალური საწარმოსი) მიერ მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ იბეგრება და დივიდენდების მიმღები საწარმოს მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება“;

6. 158-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტითა და მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობა“;

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

2 აგვისტო 2021 წ.

N884-Vრს-Xმპ

საქართველოს კანონი

„დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 06.08.2018, სარეგისტრაციო კოდი: 280060000.05.001.019066) მე-2 მუხლის:

ა) „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) თვითდასაქმებული – ინდივიდუალური მეწარმე, ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც გადასახადის წყაროსთან დაკავებას არ ექვემდებარება;“;

ბ) „კ.ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ.ბ) „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფიზიკური პირის შემთხვევაში – საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
2 აგვისტო 2021 წ.
N895-Vრს-Xმპ

ვებგვერდი, 04/08/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017492

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №192
2021 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის
№996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დანართი №II-06-ის („გადახდის წყაროსთან დაკავებული გადასახადის დეკლარაცია“) დეკლარაციის დანართი „გ“ (დაქირავებულ ფიზიკურ პირებზე დაბრუნებული გადახდის წყაროსთან დაბეგრული და დეკლარირებული საშემოსავლო გადასახადი, რომელიც ექვემდებარება აღდგენას) ამოღებულ იქნეს.
2. 38-ე მუხლის მე-9 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 04/08/2021
სარეგისტრაციო კოდი
230000000.05.001.020370

საქართველოს კანონი

საქართველოს საბაჟო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საბაჟო კოდექსის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 04.07.2019, სარეგისტრაციო კოდი: 230000000.05.001.019529) 187-ე მუხლის მე-9 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ეს მუხლი შესაბამის შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განმახორციელებელი პირის ან არასამეწარმეო საქმიანობაში ჩართული იურიდიული პირის მიერ ძირითადი საშუალებისა და სხვა აღჭურვილობის შემოტანისას, თუ იგი საქმიანობის გასაგრძელებლად უცხო ქვეყნიდან საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გადმოდის.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი
თბილისი,
2 აგვისტო 2021 წ.
N896-Vრს-Xმპ

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №193
2021 წლის 3 აგვისტო ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 40¹ მუხლის მე-5 პუნქტის პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დეკლარაციის III ნაწილის მეორე სვეტში აისახება მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (მათ შორის, საერთაშორისო კომპანიის სტატუსის მქონე საწარმოს მიერ შესაბამისი სტატუსის მინიჭებამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილება), შესაბამისი მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და მოგების გადასახადი, ხოლო მესამე სვეტში - მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, რომელიც იბეგრება მოგების გადასახადის 5%-იანი განაკვეთით, შესაბამისი მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა და მოგების გადასახადი. ამასთან, ამავე ნაწილის:“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

ვებგვერდი, 06/08/2021
სარეგისტრაციო კოდი
200090000.22.033.017494

**საქართველოს ფინანსთა მინისტრის
ბრძანება №197
2021 წლის 5 აგვისტო ქ. თბილისი**

**„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“
საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996
ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, სარეგისტრაციო კოდი 200090000.22.033.016112) დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს ცვლილება და 72-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვისას, დღგ-ის ჩათვლის მიღების საფუძველია დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ შესრულებულია ყველა შემდეგი პირობა:

ა) არსებობს საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება საქონლის იმპორტთან დაკავშირებით დღგ-ის დარიცხვის შესახებ;

ბ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე წარდგენილ საგადასახადო მოთხოვნაში ასახულია დღგ-ის თანხა;

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ საგადასახადო მოთხოვნაში ასახული თანხა ბიუჯეტში გადახდილია სრულად ან არასრულად გადახდის შემთხვევაში – საგადახდო დავალებაში მითითებულია დღგ საქონლის იმპორტთან დაკავშირებით.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ლაშა ხუციშვილი

**შემოსავლების სამსახურის უფროსის
ბრძანება №25697
2021 წლის 5 აგვისტო ქ. თბილისი**

**ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის
საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო
დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და
სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების
შეზღუდვის შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 23 მაისის №303 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ და „უ“ ქვეპუნქტების, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების და „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დღგ-ის გადამხდელად ახლად დარეგისტრირებული პირი, დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან, ჩაითვალოს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელად.

2. კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ავტომატურად, არაუგვიანეს შესაბამისი თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, გაუუქმდეს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და მიენიჭოს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, თუ მას ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ უფიქსირდება გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გატარებული ოპერაცია (ასეთ შემთხვევაში, მხედველობაში არ მიიღება ოპერაცია, რომლის შესაბამისადაც, გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათზე გატარებული თანხა 0-ის ტოლია).

3. კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს ავტომატურად, სპეციალური პროგრამის მეშვეობით, გაუუქმდეს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და მიენიჭოს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი, თუ მას შემოსავლების სამსახურში არსებული ინფორმაციის მიხედვით, არ უფიქსირდება მოქმედი საბანკო ანგარიშის ნომერი.

4. საგადასახადო ორგანოს მიერ განსაზღვრულ, აღიარებული საგადასახადო დავალიანების მქონე კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მქონე პირს, გაუუქმდეს კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი და მიენიჭოს არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსი.

5. არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის, კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის თაობაზე, გადაწყვეტილებას იღებს საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი (მათ შორის, დაინტერესებული პირის მიმართვის შემთხვევაში), შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ დადგენილი წესით, საკითხის შესწავლის შედეგად.

6. „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 56³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა გავრცელდეს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირზე არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნული სტატუსის მოქმედების პერიოდში.

7. იმ საანგარიშო პერიოდზე ან საკითხზე, რომელზეც საგადასახადო ორგანომ განახორციელა საგადასახადო შემოწმება ან დარიცხვა, პროგრამულად განხორციელდეს ზემოაღნიშნულ პერიოდში/პერიოდებში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის შეზღუდვა.

8. „ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ“ ბრძანების გამოცემისთანავე, ბრძანების გამოცემის შემდგომ პერიოდში განსახორციელებელ ოპერაციებზე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 241-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქონების განკარგვის აკრძალვის უზრუნველყოფის მიზნით, გადასახადის გადამხდელს შეეზღუდოს სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის და საგადასახადო დოკუმენტის გამოწერის უფლება.

9. ამ ბრძანების მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის/საგადასახადო დოკუმენტის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი არგუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის აუდიტის დეპარტამენტი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება გამოწეროს შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა/საგადასახადო დოკუმენტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

10. ამ ბრძანების მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სასაქონლო ზედნადების, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა დასაშვებია გადასახადის გადამხდელის მიერ შემოსავლების სამსახურში განცხადების და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელსაც შეისწავლის ვალის მართვის დეპარტამენტი და სათანადო გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში, გადასახადის გადამხდელს მიეცემა საშუალება გამოწეროს შესაბამისი სასაქონლო ზედნადები, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

11. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურებისა და საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების უფლების შეზღუდვის შესახებ“ შემოსავლების სამსახურის 2021 წლის 29 აპრილის №13617 ბრძანება.

12. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე, გარდა ამ ბრძანების მე-7-მე-10 პუნქტებისა.

13. ამ ბრძანების მე-7-მე-10 პუნქტები ამოქმედდეს შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის შექმნისთანავე.

სამსახურის უფროსი

ლევან კაკაბა

**რედაქციაში შემოსულ კითხვაზე პასუხები მოამზადა
გაფის საგადასახადო კომიტეტმა**

კითხვა:

მცირე მენარმემ გვიან აღმოაჩინა, რომ დაგვიანებული დეკლარაციის გამო დაერიცხა ჯარიმა, 30 კალენდარული დღე უკვე გასული იყო (როგორც ვიცი, ამ პერიოდშია სავალდებულო ჯარიმის დაფარვა). Rs.ge-ზე ოქმის ნახვისთანავე გადაირიცხა ჯარიმის თანხა ბიუჯეტში. დამატებითი ოქმი არ ჩანს Rs.ge-ზე, შესაძლოა თუ არა, რომ ჯარიმაზე დარიცხული იყოს ჯარიმა?

პასუხი:

არა, ჯარიმაზე სანქცია არ ერიცხება.

კითხვა:

მაინტერესებს, როგორი სახის საქმიანობა ეზღუდება მცირე მენარმეს. ასევე, ხომ არ აქვს იმპორტზე რაიმე შეზღუდვა ან/და აკრძალვა, მაგალითად შეუძლია იმპორტით შემოტანილი საქონელით ივაჭროს თუ არა?

პასუხი:

საქმიანობებთან დაკავშირებით უნდა გაეცნოთ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 29 დეკემბრის №415 დადგენილებას „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ და ამ ბრძანებით დადგენილ „დანართ 4-ს“ და „დანართ 5-ს“.

ზოგადად, საქოლის იმპორტზე შეზღუდვა დაწესებული არ არის.

კითხვა:

ვართ საქართველოში რეგისტრირებული შპს, რომელიც თავიდანვე დადგა დღგ-ის რეგისტრაციაზე. რა უნდა გავაკეთოთ, რომ დღგ-ის ზედმეტობა ავტომატურად, ანუ ჩემი მოთხოვნის გარეშე, არ დამიბრუნდეს? მიბრუნდება მცირედი 30-50 ლარის ფარგლებში და მიირჩევნია, ეს ზედმეტობა სულ მქონდეს.

პასუხი:

ეს ტექნიკური საკითხია და მის გადასაწყვეტად აუცილებლად უნდა მიმართოთ შემოსავლების სამსახურს.

კითხვა:

როდესაც შპს-ის დამფუძნებელი ფიზიკური პირები ყიდნიან თავიანთ ნილს, რომელსაც ერთი ფლობდა ერთ წელზე ნაკლები ვადით, ხოლო მეორე დაფუძნებიდან ათი წლის განმავლობაში, როგორ დაიბეგრება და რა გადასახადებით?

პასუხი:

ნამეტ შემოსავლის მიღების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადით დაიბეგრება მხოლოდ ის ფიზიკური პირი, რომელიც ამ ნილს ფლობდა ორ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში (თუ საქმე არ გვაქვს საგადასახადო კოდექსის 82.4-ე მუხლის „ა1“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევასთან). ამასთან, ნამეტ შემოსავლად ჩაითვლება სხვაობა ნილის გაყიდვით მიღებულ შემოსავალსა და ამ ნილის შეძენის ღირებულებას (უსასყიდლოდ მიღების შემთხვევაში – მიღების მომენტში ნილის საბაზრო ფასს) შორის.

კითხვა:

შპს-ის დირექტორის სახელზეა გაფორმებული მიწის ნაკვეთი, სადაც ხდება შპს-ის მასალების დასაწყობება და შემდეგ რეალიზაცია. შპს-მ ამ ფართობზე ჩაატარა სარეზონტო სამუშაოები. შპს-მ რაც მასალა გახარჯა დღგ-ით და მოგების გადასახადით დაიბეგრა. ასევე, ქირის თანხას უხდის შპს-ს დირექტორს და დაიბეგრა საშემოსავლოთი. გვინტერესებს, რამდენად სწორად დაბეგრეთ და სხვა რა გადასახადი გადასახდელი?

პასუხი:

შპს-ის მიერ განხორციელებული სარეზონტო სამუშაოების ღირებულება მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიბეგრება დღგ-ით, თუ ამ სამუშაოების გამოყენება თავის ეკონომიკურ საქმიანობაში არ ხდება შპს-ის მიერ და ეს სამუშაოები გადავიდა მიწის მესაკუთრის საკუთრებაში, ან იმ შემთხვევაში, თუ ხდება საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში გადაცემა და შპს-ს არ აქვს დღგ-ის ჩათვლის უფლება.

რაც შეეხება მოგების გადასახადს, თუ ეს სამუშაოები უსასყიდლოდ გადავიდა მიწის მესაკუთრის საკუთრებაში, შპს დაუკავებს მიწის მესაკუთრეს საშემოსავლო გადასახადს სამუშაოების საბაზრო ფასიდან გამომდინარე და ამ შემთხვევაში მოგების გადასახადი აღარ გადაიხდება.

კითხვა:

მცირე ბიზნესი, რომელიც ინტერნეტში ონლაინ ყიდის ცალობით პროდუქციას (აქსესუარებს), არ არის დღგ-ის გადამხდელი, არ ჰყავს დაქირავებული თანამშრომლები და გადახდები აქვს მხოლოდ საბანკო ანგარიშის გამოყენებით. შესაბამისად, ყოველთვიურ გადასახადს მარტივად ითვლის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების საშუალებით და ავსებს დეკლარაციას *rs.ge*-ზე. ევალება თუ არა სააღრიცხვო ყურნალის ქონა და მისი წარმოება?

პასუხი:

დიახ, ევალება.

კითხვა:

გვინტერესებს, როგორ ხდება საგადასახადო დაბეგვრა ციფრული პროდუქტების შეძენა/გაყიდვაზე. ვთქვათ, ინდემნარმე ყიდულობს უცხოურ ვებგვერდზე, მაგალითად ვინდოუსის ლიცენზიას, და ამას შემდეგ ყიდის. ამ შემთხვევაში მხოლოდ გაყიდული შემოსავლიდან იბეგრება, თუ სხვა რაიმე სახის გადასახადია დამატებით?

პასუხი:

ლიცენზიის შეძენისას გადაიხდება როიალტი, რომელიც საქართველოში დაიბეგრება მოგების გადასახადით (5 ან 15%), თუ არ იმოქმედებს ორმაგი დაბეგვრისგან თავიდან აცილების საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის შემთხვევაში (თუ არის რეზიდენტობის ცნობა) გადასახადის დაკავებისგან გათავისუფლებას. მაგალითად, Microsoft-ი, რომელიც ჩვენ გვანვდის ლიცენზიებს, როგორც წესი, არის ირლანდიის რეზიდენტი, რომელთანაც არსებობს ასეთი შეთანხმება).

ასევე მიღებული ლიცენზიები დაიბეგრება დღგ-ით – უკუდაბეგვრის წესით (იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიის რეზიდენტი მყიდველს შეზღუდული აქვს დღგ-ის ჩათვლის უფლება).

კითხვა:

ვარ ინდემნარმე მცირე ბიზნესის სტატუსით, შემოსავალი მთლიანად უცხოურ ვალუტაში მაქვს, რადგან ვემსახურები ბრიტანულ კომპანიას. დეკლარირების დროს როგორ მივუთითო შემოსავალი ლარში, ჩემი ინვოისით დარიცხვის დროინდელი კურსით, ჩარიცხვის კურსით, თუ დეკლარირების დღევანდელი კურსით? ასევე, როგორც ვიცი, B2C შემთხვევაში დღგ-ის გადახდა უცხოურ კომპანიას ეკისრება და მეკისრება თუ არა მე რაიმე ვალდებულება?

პასუხი:

თუ თქვენ აღრიცხვას აწარმოებთ დარიცხვის მეთოდით, მაშინ შემოსავლები უნდა აღირიცხოს საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის დასრულების მომენტში (მიუხედავად თანხის მიღების მომენტისა), რაც შეიძლება დაკორექტირდეს თანხის მიღების მომენტში – კურსთა შორის სხვაობით.

ხოლო, თუ თქვენ აღრიცხვას აწარმოებთ საკასო მეთოდით, მაშინ შემოსავლებს აღრიცხავთ თანხის მიღების ან თქვენი ვალდებულების ჩამოწმის მომენტში.

დღგ-ის მიზნებისთვის – ზოგადად, თუ თქვენი მომსახურების მიმღები არის საქართველოში ფიქსირებული დანესებულების არმქონე არარეზიდენტი კომპანია, მაშინ თქვენ მიერ განხორციელებული მომსახურება ჩაითვლება საზღვარგარეთ გაწეულად და დღგ-ით არ დაიბეგრება. არის, რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებიც, რა დროსაც ეს წესი არ გამოიყენება (იხ. 162¹ მუხლი) და მომსახურება შეიძლება დაიბეგროს დღგ-ით, შესაბამისად მომსახურების დასახელების დაკონკრეტების გარეშე დღგ-ით დაბეგვრის საკითხზე მსჯელობა შეუძლებელია.

კითხვა:

მაინტერესებს, ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ ლაბორატორიებს, რომელიც სხვადასხვა სახის ვირუსულ ანალიზებს აკეთებს და არ ეწევა სხვა საქმიანობას, თუ აქვთ დღგ-ის გადახდის ვალდებულება?

პასუხი:

თუ ეს საქმიანობა ითვლება სამედიცინო საქმიანობად და ამ ლაბორატორიებს აქვთ სამედიცინო საქმიანობის უფლება, მაშინ ამ საქმიანობით მიღებული შემოსავალი გათავისუფლებულია დღგ-ისგან ჩათვლის უფლების გარეშე.

კითხვა:

ფიზიკურმა პირმა, რომელიც თონის მეპატრონეა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელია, დაქირავებულ თანამშრომლებზე უნდა გადაიხადოს საშემოსავლო 20%, თუ მოხსნილი აქვს ეს გადასახადი და შედის ფიქსირებულში?

პასუხი:

დიახ, დაქირავებულ პირებს უნდა დაუკავოს საშემოსავლო გადასახადი და გადარიცხოს ბიუჯეტში.

კითხვა:

შპს-მ სესხით იყიდა კომერციული ფართობი, რომელიც გააქირავა თვეში 1000 ლარად. რა გადასახადის გადახდა მოუწევს შპს-ს, თუ კომერციული ფართობის შეძენისთვის აღებული სესხის პროცენტიც თვიურად 1000 ლარია? მაინტერესებს, ანალოგიურად იქნება თუ არა ინდემნარმის შემთხვევაშიც?

პასუხი:

ზოგადად, თუ შპს დღგ-ის გადამხდელია (ან ევალება, იყოს დღგ-ის გადამხდელი საგადასახადო კოდექსის 165-ე მუხლის შესაბამისად), მაშინ იგი გადაიხდის დღგ-ის საიჯარო თანხიდან. გაქირავებიდან მიღებული მოგების განაწილების შემთხვევაში კი, გადაიხდის მოგების გადასახადს (15%) საგადასახადო კოდექსის XIII თავის შესაბამისად, ასევე იმ შემთხვევაში, თუ კომპანიის პარტნიორი რეზიდენტი ფიზიკური პირი ან არარეზიდენტი, შესაძლოა მოხდეს გადახდის წყაროსთან 5%-იანი განაკვეთით შესაბამისი გადასახადის დაკავება.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი
კურსები უცხოური ვალუტების მიმართ 2021 წლის აგვისტოში

თარიღი	ბულგარული ლემი	დანიური კრონა	ევრო	ფუნტი სტერლინგი	ისლანდიური კრონა	სერბული დინარი	ნორვეგიული კრონა	პოლონური გლოტი	რუმინული ლეი	უზბეკური ფორინი	შვედური კრონა	შვეიცარიული ფრანკი	ჩეხური კრონა	ამერიკული დოლარი
	1	10	1	1	100	100	10	10	10	100	10	1	10	1
01.08.21	1,9011	4,9981	3,7174	4,3670	2,5256	3,1628	3,5633	8,1348	7,5547	1,0396	3,6486	3,4509	1,4580	3,1244
02.08.21	1,9011	4,9981	3,7174	4,3670	2,5256	3,1628	3,5633	8,1348	7,5547	1,0396	3,6486	3,4509	1,4580	3,1244
03.08.21	1,8867	4,9616	3,6906	4,3161	2,5141	3,1396	3,5268	8,0912	7,5053	1,0336	3,6186	3,4301	1,4483	3,1042
04.08.21	1,8866	4,9632	3,6919	4,3247	2,5185	3,1400	3,5428	8,1110	7,5066	1,0411	3,6209	3,4391	1,4488	3,1048
05.08.21	1,8808	4,9454	3,6780	4,3214	2,4917	3,1306	3,5231	8,0997	7,4773	1,0382	3,6064	3,4282	1,4462	3,1022
06.08.21	1,8712	4,9248	3,6624	4,3066	2,4746	3,1158	3,5042	8,0482	7,4482	1,0339	3,5923	3,4113	1,4401	3,0927
07.08.21	1,8723	4,9212	3,6600	4,3121	2,4763	3,1136	3,5102	8,0293	7,4465	1,0368	3,5997	3,4130	1,4406	3,0993
08.08.21	1,8723	4,9212	3,6600	4,3121	2,4763	3,1136	3,5102	8,0293	7,4465	1,0368	3,5997	3,4130	1,4406	3,0993
09.08.21	1,8723	4,9212	3,6600	4,3121	2,4763	3,1136	3,5102	8,0293	7,4465	1,0368	3,5997	3,4130	1,4406	3,0993
10.08.21	1,8663	4,9072	3,6493	4,3113	2,4659	3,1036	3,4800	7,9956	7,4286	1,0304	3,5721	3,3849	1,4378	3,1050
11.08.21	1,8623	4,8974	3,6423	4,3054	2,4577	3,0977	3,4745	7,9538	7,4087	1,0323	3,5634	3,3706	1,4356	3,1070
12.08.21	1,8612	4,8945	3,6403	4,2917	2,4596	3,0951	3,4830	7,9314	7,4049	1,0256	3,5601	3,3650	1,4331	3,1079
13.08.21	1,8690	4,9147	3,6550	4,3135	2,4697	3,1084	3,5252	7,9629	7,4370	1,0351	3,5927	3,3769	1,4397	3,1138
14.08.21	1,8758	4,9344	3,6698	4,3099	2,4796	3,1205	3,5380	8,0237	7,4709	1,0400	3,5979	3,3884	1,4450	3,1238
15.08.21	1,8758	4,9344	3,6698	4,3099	2,4796	3,1205	3,5380	8,0237	7,4709	1,0400	3,5979	3,3884	1,4450	3,1238
16.08.21	1,8758	4,9344	3,6698	4,3099	2,4796	3,1205	3,5380	8,0237	7,4709	1,0400	3,5979	3,3884	1,4450	3,1238
17.08.21	1,8781	4,9391	3,6730	4,3212	2,4819	3,1236	3,5289	8,0445	7,4778	1,0441	3,6007	3,4120	1,4457	3,1175
18.08.21	1,8778	4,9372	3,6715	4,3031	2,4741	3,1221	3,5296	8,0424	7,4546	1,0437	3,5996	3,4231	1,4427	3,1191
19.08.21	1,8732	4,9282	3,6648	4,3033	2,4696	3,1163	3,5102	8,0308	7,4409	1,0444	3,5794	3,4193	1,4387	3,1283
20.08.21	1,8713	4,9245	3,6623	4,2891	2,4646	3,1146	3,4798	7,9948	7,4311	1,0429	3,5657	3,4173	1,4365	3,1323
21.08.21	1,8653	4,9098	3,6514	4,2560	2,4441	3,1052	3,4444	7,9551	7,3990	1,0417	3,5393	3,4101	1,4301	3,1257
22.08.21	1,8653	4,9098	3,6514	4,2560	2,4441	3,1052	3,4444	7,9551	7,3990	1,0417	3,5393	3,4101	1,4301	3,1257
23.08.21	1,8653	4,9098	3,6514	4,2560	2,4441	3,1052	3,4444	7,9551	7,3990	1,0417	3,5393	3,4101	1,4301	3,1257
24.08.21	1,8684	4,9138	3,6543	4,2629	2,4331	3,1076	3,4808	7,9657	7,4100	1,0440	3,5631	3,3998	1,4309	3,1180
25.08.21	1,8704	4,9226	3,6609	4,2822	2,4404	3,1130	3,5193	7,9954	7,4296	1,0490	3,5865	3,4163	1,4364	3,1191
26.08.21	1,8804	4,9438	3,6765	4,2947	2,4739	3,1263	3,5384	8,0405	7,4598	1,0562	3,5966	3,4258	1,4408	3,1305
27.08.21	1,8826	4,9540	3,6842	4,3002	2,4792	3,1327	3,5563	8,0471	7,4709	1,0558	3,5963	3,4168	1,4411	3,1288
28.08.21	1,8778	4,9405	3,6738	4,2825	2,4657	3,1244	3,5426	8,0162	7,4474	1,0478	3,5867	3,4043	1,4376	3,1248
29.08.21	1,8778	4,9405	3,6738	4,2825	2,4657	3,1244	3,5426	8,0162	7,4474	1,0478	3,5867	3,4043	1,4376	3,1248
30.08.21	1,8778	4,9405	3,6738	4,2825	2,4657	3,1244	3,5426	8,0162	7,4474	1,0478	3,5867	3,4043	1,4376	3,1248
31.08.21	1,8801	4,9446	3,6768	4,2874	2,4543	3,1271	3,5848	8,0435	7,4511	1,0559	3,6043	3,4077	1,4382	3,1170

თარიღი	კანადური დოლარი	ავსტრალიური დოლარი	ევროპული მონეტა	თურქული ლირა	იაპონური იენი	აზს დირჰამი	ირანული რიალი	ისრაელის შიკელი	სინგაპური დოლარი	შვეიცარი ფრანკი	ჩინური იუანი	ჰონგკონგური დოლარი	ინდური რუპია	ახალგადაიწყო დოლარი
	1	1	10	1	100	10	10000	10	1	1	10	10	100	1
01.08.21	2,5128	2,3071	1,9900	0,3713	2,8507	8,5064	0,7439	9,6713	2,3103	10,4008	4,8350	4,0191	4,1986	2,1911
02.08.21	2,5128	2,3071	1,9900	0,3713	2,8507	8,5064	0,7439	9,6713	2,3103	10,4008	4,8350	4,0191	4,1986	2,1911
03.08.21	2,4901	2,2847	1,9773	0,3712	2,8336	8,4521	0,7391	9,6248	2,2963	10,3336	4,8042	3,9928	4,1753	2,1649
04.08.21	2,4823	2,2969	1,9783	0,3729	2,8437	8,4530	0,7392	9,6476	2,2992	10,3390	4,8035	3,9921	4,1796	2,1783
05.08.21	2,4750	2,3006	1,9753	0,3672	2,8414	8,4460	0,7386	9,6555	2,2991	10,3269	4,8011	3,9895	4,1816	2,1948
06.08.21	2,4710	2,2905	1,9718	0,3620	2,8239	8,4201	0,7364	9,6247	2,2902	10,2918	4,7861	3,9766	4,1695	2,1838
07.08.21	2,4771	2,2898	1,9732	0,3606	2,8224	8,4381	0,7379	9,6365	2,2937	10,3104	4,7915	3,9852	4,1795	2,1856
08.08.21	2,4771	2,2898	1,9732	0,3606	2,8224	8,4381	0,7379	9,6365	2,2937	10,3104	4,7915	3,9852	4,1795	2,1856
09.08.21	2,4771	2,2898	1,9732	0,3606	2,8224	8,4381	0,7379	9,6365	2,2937	10,3104	4,7915	3,9852	4,1795	2,1856
10.08.21	2,4747	2,2797	1,9774	0,3586	2,8184	8,4536	0,7393	9,6369	2,2891	10,3225	4,7930	3,9897	4,1808	2,1763
11.08.21	2,4704	2,2796	1,9804	0,3601	2,8120	8,4590	0,7398	9,6287	2,2874	10,3223	4,7937	3,9924	4,1743	2,1718
12.08.21	2,4786	2,2784	1,9764	0,3596	2,8065	8,4615	0,7400	9,6504	2,2857	10,3252	4,7918	3,9938	4,1748	2,1768
13.08.21	2,4877	2,2914	1,9843	0,3626	2,8200	8,4775	0,7414	9,6663	2,2941	10,3483	4,8075	4,0020	4,1933	2,1887
14.08.21	2,4952	2,2938	1,9897	0,3656	2,8326	8,5048	0,7438	9,6979	2,3003	10,3815	4,8198	4,0133	4,2073	2,1885
15.08.21	2,4952	2,2938	1,9897	0,3656	2,8326	8,5048	0,7438	9,6979	2,3003	10,3815	4,8198	4,0133	4,2073	2,1885
16.08.21	2,4952	2,2938	1,9897	0,3656	2,8326	8,5048	0,7438	9,6979	2,3003	10,3815	4,8198	4,0133	4,2073	2,1885
17.08.21	2,4841	2,2882	1,9833	0,3680	2,8525	8,4876	0,7423	9,7004	2,2996	10,3675	4,8148	4,0047	4,1988	2,1922
18.08.21	2,4735	2,2738	1,9878	0,3718	2,8545	8,4920	0,7426	9,6758	2,2960	10,3728	4,8139	4,0023	4,1952	2,1606
19.08.21	2,4775	2,2668	1,9899	0,3688	2,8517	8,5170	0,7448	9,6564	2,2997	10,3930	4,8272	4,0165	4,2133	2,1554
20.08.21	2,4569	2,2430	1,9930	0,3679	2,8556	8,5279	0,7458	9,6575	2,2978	10,4029	4,8262	4,0203	4,2187	2,1394
21.08.21	2,4213	2,2277	1,9910	0,3660	2,8509	8,5099	0,7442	9,6368	2,2938	10,3809	4,8096	4,0117	4,2016	2,1314
22.08.21	2,4213	2,2277	1,9910	0,3660	2,8509	8,5099	0,7442	9,6368	2,2938	10,3809	4,8096	4,0117	4,2016	2,1314
23.08.21	2,4213	2,2277	1,9910	0,3660	2,8509	8,5099	0,7442	9,6368	2,2938	10,3809	4,8096	4,0117	4,2016	2,1314
24.08.21	2,4468	2,2381	1,9817	0,3684	2,8325	8,4890	0,7424	9,6538	2,2937	10,3588	4,8074	4,0020	4,2015	2,1393
25.08.21	2,4729	2,2598	1,9821	0,3699	2,8425	8,4920	0,7426	9,6951	2,3002	10,3659	4,8149	4,0049	4,2040	2,1662
26.08.21	2,4810	2,2715	1,9909	0,3728	2,8506	8,5230	0,7454	9,6776	2,3127	10,4003	4,8334	4,0212	4,2165	2,1769
27.08.21	2,4820	2,2715	1,9927	0,3739	2,8420	8,5184	0,7450	9,7144	2,3133	10,3947	4,8271	4,0181	4,2154	2,1780
28.08.21	2,4645	2,2661	1,9902	0,3721	2,8371	8,5075	0,7440	9,6695	2,3128	10,3814	4,8231	4,0115	4,2405	2,1720
29.08.21	2,4645	2,2661	1,9902	0,3721	2,8371	8,5075	0,7440	9,6695	2,3128	10,3814	4,8231	4,0115	4,2405	2,1720
30.08.21	2,4645	2,2661	1,9902	0,3721	2,8371	8,5075	0,7440	9,6695	2,3128	10,3814	4,8231	4,0115	4,2405	2,1720
31.08.21	2,4715	2,2732	1,9865	0,3721	2,8375	8,4863	0,7421	9,6726	2,3159	10,3624	4,8190	4,0027	4,2539	2,1819

თარიღი	რუსული რუბლი	ამერიკანული დოლარი	ბელარუსული რუბლი	თურქმენული მანათი	მოლდავური ლეი	სომხური დრამი	ტაჯიკური სომონი	უზბეკური სუმი	უკრაინული გრივნა	ყაზახური თენგე	ყირგიზული სომი	სამხრეთ აფრიკული რანდი	ბრაზილიური რეალი
	100	1	10000	10	10	1000	10	1000	10	100	100	10	1
01.08.21	4,2829	1,8391	1,2523	8,9269	1,7469	6,4197	2,7634	0,2938	1,1645	0,7346	3,6906	2,1441	0,6149
02.08.21	4,2829	1,8391	1,2523	8,9269	1,7469	6,4197	2,7634	0,2938	1,1645	0,7346	3,6906	2,1441	0,6149
03.08.21	4,2578	1,8266	1,2414	8,8691	1,7359	6,3274	2,7481	0,2917	1,1564	0,7331	3,6647	2,1514	0,5956
04.08.21	4,2633	1,8265	1,2390	8,8709	1,7367	6,3566	2,7461	0,2918	1,1572	0,7329	3,6694	2,1616	0,6001
05.08.21	4,2550	1,8250	1,2327	8,8634	1,7394	6,2989	2,7438	0,2915	1,1520	0,7313	3,6668	2,1731	0,5969
06.08.21	4,2282	1,8188	1,2262	8,8363	1,7361	6,2726	2,7354	0,2911	1,1478	0,7270	3,6555	2,1492	0,5983
07.08.21	4,2347	1,8244	1,2344	8,8551	1,7368	6,2890	2,7442	0,2920	1,1556	0,7298	3,6623	2,1343	0,5905
08.08.21	4,2347	1,8244	1,2344	8,8551	1,7368	6,2890	2,7442	0,2920	1,1556	0,7298	3,6623	2,1343	0,5905
09.08.21	4,2347	1,8244	1,2344	8,8551	1,7368	6,2890	2,7442	0,2920	1,1556	0,7298	3,6623	2,1343	0,5905
10.08.21	4,2270	1,8260	1,2358	8,8714	1,7410	6,3252	2,7462	0,2919	1,1590	0,7280	3,6672	2,1253	0,5934
11.08.21	4,2202	1,8267	1,2374	8,8771	1,7428	6,3782	2,7497	0,2926	1,1612	0,7292	3,6690	2,0953	0,5935
12.08.21	4,1966	1,8282	1,2347	8,8797	1,7504	6,3281	2,7529	0,2918	1,1593	0,7295	3,6692	2,1015	0,5988
13.08.21	4,2369	1,8329	1,2427	8,8966	1,7622	6,3249	2,7540	0,2919	1,1637	0,7332	3,6784	2,1188	0,5965
14.08.21	4,2534	1,8388	1,2519	8,9251	1,7756	6,3317	2,7655	0,2927	1,1707	0,7349	3,6879	2,1066	0,5946
15.08.21	4,2534	1,8388	1,2519	8,9251	1,7756	6,3317	2,7655	0,2927	1,1707	0,7349	3,6879	2,1066	0,5946
16.08.21	4,2534	1,8388	1,2519	8,9251	1,7756	6,3317	2,7655	0,2927	1,1707	0,7349	3,6879	2,1066	0,5946
17.08.21	4,2470	1,8337	1,2515	8,9071	1,7726	6,3251	2,7602	0,2921	1,1702	0,7336	3,6810	2,1141	0,5940
18.08.21	4,2464	1,8347	1,2496	8,9117	1,7760	6,3396	2,7594	0,2927	1,1701	0,7330	3,6828	2,1042	0,5930
19.08.21	4,2461	1,8421	1,2467	8,9380	1,7785	6,3616	2,7660	0,2937	1,1743	0,7353	3,6961	2,0967	0,5907
20.08.21	4,2267	1,8417	1,2448	8,9494	1,7734	6,3771	2,7728	0,2945	1,1753	0,7337	3,7037	2,0653	0,5814
21.08.21	4,1944	1,8378	1,2433	8,9306	1,7714	6,3621	2,7666	0,2941	1,1723	0,7306	3,6964	2,0391	0,5772
22.08.21	4,1944	1,8378	1,2433	8,9306	1,7714	6,3621	2,7666	0,2941	1,1723	0,7306	3,6964	2,0391	0,5772
23.08.21	4,1944	1,8378	1,2433	8,9306	1,7714	6,3621	2,7666	0,2941	1,1723	0,7306	3,6964	2,0391	0,5772
24.08.21	4,2101	1,8331	1,2441	8,9086	1,7628	6,3522	2,7577	0,2929	1,1684	0,7325	3,6868	2,0465	0,5795
25.08.21	4,2193	1,8339	1,2455	8,9117	1,7622	6,3427	2,7604	0,2932	1,1694	0,7335	3,6894	2,0670	0,5797
26.08.21	4,2462	1,8426	1,2501	8,9443	1,7833	6,3582	2,7729	0,2941	1,1714	0,7351	3,7017	2,0946	0,5966
27.08.21	4,2270	1,8410	1,2455	8,9394	1,7667	6,3529	2,7688	0,2937	1,1668	0,7330	3,6959	2,0971	0,6000
28.08.21	4,2196	1,8384	1,2424	8,9280	1,7644	6,3332	2,7677	0,2936	1,1605	0,7313	3,6912	2,0941	0,5944
29.08.21	4,2196	1,8384	1,2424	8,9280	1,7644	6,3332	2,7677	0,2936	1,1605	0,7313	3,6912	2,0941	0,5944
30.08.21	4,2196	1,8384	1,2424	8,9280	1,7644	6,3332	2,7677	0,2936	1,1605	0,7313	3,6912	2,0941	0,5944
31.08.21	4,2381	1,8317	1,2425	8,9057	1,7600	6,3531	2,7581	0,2926	1,1607	0,7298	3,6833	2,1281	0,5989

ფინანსური მართვა აუდიტი და მარნეულებელი მომსახურება საწარმოს სტრატეგიული ანგარიშგება

ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტერი, რომელიც პასუხისმგებელია დამქირავებელი ორგანიზაციის საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ან დამტკიცებაზე, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ფინანსური ანგარიშგების წარდგენისთვის დადგენილი სათანადო საფუძვლების შესაბამისად.

პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ ინტერესთა კონფლიქტმა გამოიწვიოს მისი პროფესიული ან საქმიანი გადანეწყვეტილებების კომპრომენტირება.



[gfpaa.ge/](https://www.facebook.com/gfpaa.ge/)